პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ
№ 4. მე-2 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 3—43

რედაქტორთან საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქციის 14—76. მდივნის 10—59

ხელის მოწერის ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადებები—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 69 ოთხშაბათი, 28 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 69

დღიური

რურის საქმეთა რუსეთის ცნობის შესახებ. საბჭოთა რუსეთი მოითხოვს თავის წილს.

რუსეთში: კათოლიკეთა სამღვდელოების გასამართლება გათავდა: ორს გადაუწყვიტეს დახვრეტა, დანარჩენებს დასჯის სხვადასხვა ვადით.

საფრანგეთში: კომუნისტ ბერტონის გამოსვლა პარლამენტში.

ოსმალეთში: გრძელდება კომუნისტების გასამართლება, ლონდონის ექსპერტებმა დაათავეს ოსმალთა კონტრიბუციის განხილვა.

გერმანიის ამბები: ნაციონალისტების დაპატიმრება, სტინესის მოგზაურობა 100.000 მუშის გაფიცვა კელნში.

საქართველოს პარტიულ საგამომცემლო პრესის ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზეტრესტი)
(რუსთაველის პროსპ. № 24, მე-2 სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე—ადგილებზე გადაგზავნით.

ხელის მოწერა მიიღება:
აპრილისა და მაისისათვის.

5—1

ხუთშაბათს, 29 მარტს, საღამოს 6 საათზე
დანიშნულია
საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

მოწვეული არიან ტფილისის კომიტეტის ყველა წევრები და კანდიდატები.
ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგ. რუბენი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა პარასკევს, 30 მარტს, ერთიან პარტიულ დღეს დასმული იქნეს დღის წესრიგში საკითხი
ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის შესახებ
თეზისები ქვეყნდება დამატებით.
ტფ. კომიტეტის მდივნის მაგიერ: **რუბენი.**

მრეწველობა და რესპუბლიკის დაცვა

ჩვენ გარს გვახვევია კაპიტალისტური რკალი. წინ მოგველის აუცილებელი და საბოლოო ბრძოლა მტერთან. ჩვენ მხარეზეა მთელი ისტორია—ჩვენ გავიმარჯვებთ. მაგრამ ჩვენ გვმართებს რამდენათაც შესაძლებელია იაფ-ფასათ მოვიპოვოთ ეს გამარჯვება, და ეს კი საკმაოდ დამოკიდებულია მთელი ქვეყნისა და, კერძოთ, მისი მრეწველობის მომზადების დონეზე მრეწველობა—ომის ძირითადი მატერიალური ფუძეა. ის ისე უნდა იქნეს აგებული. რომ საკმაოთ უზრუნველყოს ამ გამარჯვების წარმატებითი შედეგი. აღრიცხვა და ანგარიში, და ისევ აღრიცხვა და ანგარიში.

ჩვენი საბჭოთა ფედერაცია, მრავალწლოვან ბრძოლიდან გამარჯვებით გამოსული, ამ ჟამათ მშვიდობიან აღმშენებლობის მთელ რიგ ამოცანათა გადაწყვეტის წინაშე დგას.

ამ ამოცანათა შორის, სამწუხაროთ, ისევე, ძველი ამოცანა ქვეყნის თავდაცვისა მოსალოდნელ მომავალ ომისათვის, ვინაიდან ამ მომზადების გარეშე შეუძლებელია რაიმე მშვიდობიანი აღმშენებლობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ გარემოებამ, რადგან ის არის მნიშვნელოვანი ჩვენს მშვიდობიან მუშაობაში, არ აჩინოს თავისი კვალი სამეურნეო მუშაობის საწარმოვო გეგმის ორგანიზაციაზე, რომელსაც საფუძვლათ უნდა ედოს მშვიდობიან აღმშენებლობის შეფერხების თავიდან აცილება.

ერთათ ერთი სწორი მიდგომა ამ ამოცანებისადმი არის ჩვენი მშვიდობიან მრეწველობის, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი განსაზღვრულ დარგების ისეთი ორგანიზაცია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება სამხედრო გზაზე, ასე ვთქვათ, ისრის ერთი გადაწევით უმტკივნეულოთ გადასვლა.

1914-1917 წ. წ. ომამდე ამ საკითხს არ ეძლეოდა არავითარი მნიშვნელობა. სამხედრო მრეწველობის დარგის შედარებით დიდ მასშტაბის ორგანიზაციულ საკითხებისადმი ინტერესი წარმოიშვა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ნაკარნახევი იყო იმპერიალისტურ ომით. თუმცა ხომ მაშ ნაც არსებობდა ცალკე ელემენტები, რომელთაგანაც შესაძლებელი იყო სამხედრო მრეწველობის ორგანიზაცია: ჩინებული მეცნიერი სპეციალისტები, იშვიათ კვალიფიკაციის მუშები, ჩინებული პრაქტიკოს—ინჟინერები, მდიდრათ და ფართეთ მოწყობილი ქარხნები, ნედლი მასალის დიდი რაოდენობა და სხვა. ზოგიერთი ქარხანა უკანასკნელთა შორის, დასავლეთის ტეხნიკოსების აზრითაც კი ნამდვილ გამონაკლისს წარმოადგენდენ: მაგრამ ამ გარემოებებმა მაინც არ უშველეს მეფის დროის რუსეთს საერთაშორისო ომის ხანაში აუარება ფული დაებანდა ამერიკის ბაზარზე. რომლის საშუალებით ამერიკელებმა მთელი რიგი სამხედრო წარმოება მოაწყვეს და ეს წარმოებები ეხლაც ...ათ მუშაობენ როკფელერის სამეფოს სამეურნეო ფრონტზე.

მართალია, ომის მიზნებისათვის მშვიდობიან მრეწველობის გამოყენების საქმეში მეფის მთავრობამ ...რამ გააკეთა. — ეს მუშაობა ...რულა, უმთავრესათ, ცნობილმა ...ის აკადემიკმა იპატიევმა, რომელმაც მოაწყო ქიმიურ საგნებისა და მხრჩოლავ ნივთიერების წარმოების რამოდენიმე ქარხნის გამოყენებით, რომლებიც წინეთ ქიმიურ მრეწველობაში მუშაობდენ.

გამოცდილება წარსული ომისა, რომელშიაც ჩვენ პირის პირ შევეყარეთ ტეხნიკურ ფაქტორებს, რომელთა მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება, მძლავრათ გვიკარნახებს ყურადღებით მოვეპყრათ მას და წინდახედული ვიყოთ მომავლისათვისაც. ...მით გამოაშკარავებულ მთელ რიგ ელემენტებს შორის განსაკუთრებულ ...მდლების ღირსია ერთი ელემენტი, რომელსაც დიდი მომავალი მოელის,

ეს არის მხრჩოლავ გაზების გამოყენება.

ეს გერმანული გამოგონება, რომელსაც, მართალია, დიდი ხნის ისტორია აქვს, გამოყენებული იყო გაზის ტალღის ან გაზის ყუმბარების სახით.

ორივე საშვალება მეტად მძლავრია, ვინაიდან ისინი ფიზიკურათ და მორალურათაც ამარცხებენ მათი მოქმედების სფეროში მოყოლილ ყოველ ცხოველ ორგანიზმს.

გაზის წინაამდეგ საშვალებებითაც კი შეიარაღებული ჯარები გაზის მოქმედების სფეროში მოქცევის პირველ მომენტშივე უნარ დაკარგულათ უნდა ჩაითვალონ, ვინაიდან სუნთქვა რაიმე სპეციალურ აპარატის საშვალებით, რა რიგ კარგ კონსტრუქციის არ იყოს იგი, თავისუფალ სუნთქვას ვერ შეედრება.

სამხედრო ნაწილის მდგომარეობა კი, მისი ბრძოლის უნარის თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, შეფასებულ უნდა იქნეს არა მარტო მსხვერპლის რაოდენობით, არამედ იმ დროის სიმცირითაც, რომლის განმავლობაში გაღებულია ეს მსხვერპლი.

ამ მხრით გაზის საომარ საშვალებებს უდიდესი უპირატესობა აქვს არტილერიის წინ, ვინაიდან ისინი მუსრს ავლებენ თითქმის ერთდროულად მათი მოქმედების მთელს არეს ათეულ ვერსის სივრცეზე.

ომის დასრულებისას ინგლისელებს ქონდათ პროექტი ე. წ. საწამლავ სანთლებისა, რომლებიც გატენილი არიან საწამლავ გაზით მაგარ ნივთიერების სახით. მოხმარების დროს ეს ნივთიერება წვრილ მტვრათ იქცევა და მოწინაამდეგეს ბურავს ნისლის მაგვარათ. ასეთ სანთელს, დაახლოვებით ერთი ფუთის წონისა, ადვილათ ზიდავს ერთი კაცი. ყოველ პოლკს, ნაწილს ყოველ მომენტში შეეძლო მოეტანა ისინი პოზიციების პირველ ხაზზე და საჭირო დროს გამოეყენებინა საქმეში.

ეს გარემოება, ზოგიერთ სახელმწიფოს სამზადისის მიხედვით, უთუოთ ერთად ერთ საშუალების დანიშნულებას აასრულებს, რომელიც გამოყენებული იქნება მრავალ გვარ გზით და ხერხით.

მოკლეთ რომ მოვსჭრათ, მომავლის ომი საწამლავ-მხრჩოლავ გაზების და კვამლის ტალღებში გაიმართება.

ჯარებს მოუხდებათ ყოფნა და მოქმედება გაზის საწინააღმდეგოთ მოწყობილ მდგომარეობაში, რაიც ცხადია, მშვიდობიანობის დროს სათანადო გაწვრთნას მოითხოვს.

უბრუნდებით რა ამ წერილში აღძრულ საკითხს მშვიდობიან დროის მრეწველობის ქვეყნის დაცვისათვის გამოყენების შესახებ, ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **არც ერთი სხვა მრეწველობა არ არის ამ მიზნისათვის ისე ხელსაყრელი და გამარჯვებული, როგორც ქიმიური.**

მაშინ, როდესაც სხვა საომარი მასალა, როგორიც არის ზარბაზნები, თოფის წამალი და სხვა სავსებით ომის მიზნებს ემსახურება, —**ქიმიური საწარმოებნი კარგათ მოგვარებულ** ქიმიურ მრეწველობის პირობებში ფართეთ გამოსადეგია აგრეთვე მშვიდობიან მუშაობის პროცესებში. ბრძოლა სოფლის მეურნეობის ყოველგვარ მავნეებთან—კალია, თრია და სხვების წინააღმდეგ შესაძლებელია მარჯვეთ გატარდეს სწორეთ კარგათ მოწესრიგებულ ქიმიურ მრეწველობის პირობებში. დამოუკიდებლათაც ამისა, ქიმიურ მრეწველობის ნაწარმოებნი ფართეთ გამოიყენება აგრეთვე ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების სხვა დარგებშიაც: მანუფაქტურულ, ტყავეულის, საპნისა და მთელი რიგი სხვა წარმოებებისათვის აღნიშნული საგნები აუცილებლათ საჭიროა. რაც შეეხება ამ მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალის წყაროებს, საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაზე არსებული ნახშირისა და ნავთის დაუშრეტელი მარაგი საშუალებას მოგვცემს თავს ავიცილოთ ჩვენი „კეთილ მეზობლების" დახმარება.

ფართეთ განვითარებულ ქიმიურ მრეწველობის პირობებში შესაძლებელია ყოველს მომენტს შებრუნებულ იქნას მეურნეობის ბერკეტი ან ფრონტისა და ან მშვიდობიან საჭიროების მხრით.

გერმანიის მრეწველობამ დაამტკიცა ეს თავის 4 წლის ბრძოლით მთელ მსოფლიოს წინააღმდეგ და სწორეთ იმიტომ, რომ მის განკარგულებაში იყო განვითარებული ქიმიური მრეწველობა და იმ დროს, როდესაც ამერიკა,—ფართე შესაძლობლობის და მრეწველობის ქვეყანა,—უკვე მსოფლიო ომის პროცესში დაეწია გერმანიას და კიდეც გადაასწრო მას, ომის ბედმა უღალატა გერმანიას.

ამ ჟამათ ამერიკამ, გაითვალისწინა რა მომავალ ომში ქიმიურ საშუალებათა როლი, ერთ-ერთ კონფერენციაზე გარკვეულათ და პირდაპირ აღიარა: „ჩვენ გამოვიყენებთ ქიმიურ საშვალებებს და სისულელეც იქნებოდა მათი უარყოფა, თუ ისინი რაციონალური გამოდგენ".

საფრანგეთიც ამ ჟამათ თავის ქიმიურ მრეწველობის აღდგენისათვის მეცადინეობს და, უეჭველია, ამერიკასთან ანალოგიურათ იმოქმედებს.

საფრანგეთის თანამედროვე ავანტიურას რურის ოლქში, სხვათა შორის, ეს ფარული მიზანიც უდევს ხარჩუათ, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გერმანიის ყველა ქიმიური ქარხნები, ყოველ შემთხვევაში, მათი უდიდესი ნაწილი, ამ ოლქშია დაგროვებული:

ცხადია, რომ ჩვენი მტრები ყოველ ზომას იხმარენ და ყოველგვარ საშვალებით იმოქმედებენ ჩვენს წინააღმდეგ, და ის გარემოება, რომ ისინი ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქიმიურ საშვალებებს მიმართავენ, სრულიათ უდავოა.

მათი ლაპარაკი სხვა და სხვა კონფერენციებზე განიარაღების, კაცთმოყვარეობის შესახებ—ლიტონი სიტყვებია მხოლოთ.

ჩვენ პირდაპირ უნდა შევყურებდეთ მომავალს და ამიტომ ჩვენი ქვეყანა მზათ უნდა იქნეს.

აი რატომ არის მშვიდობიან დროს ფრიად საჭირო ჩვენი ქიმიურ მრეწველობის განვითარება ისეთ მიმართულებით, რომ მშვიდობიანობისას ის მშვიდობიან მიზნებს ემსახურებოდეს და ომის დროს უმტკივნეულოთ გამოიყენებოდეს სამხედრო საჭიროებისათვის.

ზემოთ თქმულიდან ლოღიკურათ გამომდინარეობს შემდეგი: სამხედრო ძლიერება ორ მთავარ ძალიდან შესდგება: ცოცხალი ძალის (არმია) და საომარ ტეხნიკურ საშვალებებისაგან.

უკეთუ საჭირო მომენტს ქვეყნის ყველა უნარიანი მცხოვრებლები არმიის რიგებში უნდა ჩადგენ, ასევე ქვეყნის მთელი მრეწველობა საჭიროებისთანავე მზათ უნდა იქნეს არმიისათვის დახმარების გასაწევათ.

ამით სრულიათ ნათლათ ირკვევა ამოცანა და მნიშვნელობა ჩვენი მრეწველობისა როგორც მშვიდობიანობის, აგრეთვე ომის ხანაში.

ჩვენი მრეწველობა უნდა წარმოადგენდეს მწყობრ და მძლავრ საწარმოვო აპარატს, მეტათ მოქნილსა და მოძრავს, მას ადვილათ უნდა შეეძლოს გადასვლა მშვიდობიან მუშაობიდან ომისაკენ და წინააღმდეგ, მშვიდობიან წეს-რიგს მუშაობის მაქსიმუმს აძლევდეს და იმავე დროს გამზადებული იქნეს ომისათვის.

მტკიცეთ და სწორათ აგებული ჩვენი მრეწველობის საწარმოვო გეზი ქვეყნის მძლავრ თავდაცვის შექმნის საწინდარია.

მ. ეგოროვი.

სიყვარულისა და სოლიდარობის სიმბოლო

ოვანეს თუმანიანი დიდი ლიტერატურული ფიგურაა ჩვენი რევოლიუციის წინა პერიოდის. მის შემოქმედებაში ჰპოვა ნამდვილი გამოხატულება სომხეთის გლეხობის ცხოვრებამ მისმა პატრიარქალურმა ზნე-ჩვეულებებმა და აგრეთვე მასზე ქალაქის „გამხრწნელმა" გავლენამ.

მაგრამ ოვანეს თუმანიანი ჩვენთვის არ არის მარტო ლიტერატურული პიროვნება.

მიუხედავათ იმისა, რომ ის არ ყოფილა პოლიტიკური მოღვაწე, მაინც მატარებელი იყო გარკვეული პოლიტიკური ტენდენციების, რომლებიც გამომდინარეობდენ ხალხის ინტერესების და ფსიქოლოგიის ღრმად გაგებიდან: ყოველთვის, როცა ამიერკავკასიის ერების მშვიდობიანობა და ძმური კავშირი სერიოზულ საფრთხეში იყო, ის იმაღლებდა ხმას ერებშორის სისხლის ღვრის, უბედურების და ბოროტების წინააღმდეგ—იმ დროს, როცა აგარონიანები და კამპანია ცდილობდა „იდეოლოგიურად დაესაბუთებია" თათარ სომეხთა და სომეხ ქართველთა შეტაკების აუცილებლობა „სამშობლოს იდეის გამარჯვების" მიზნით.

ოვანეს თუმანიანს არას გზით არ შეეძლო შერიგებოდა იმ აზრს, რომ ის ხალხები, რომელნიც შედუღებულნი არიან ერთმანეთთან როგორც გეოგრაფიულად, ისე ეკონომიურად და პოლიტიკურად, დაუწყებენ ერთმანეთს შეიარაღებულ ბრძოლას—და გახდებიან მსხვერპლი მეფის, დაშნაკურ და მენშევიკური პროვოკაციისა.

ჯერ კიდევ წარსულში 1905 წლის პირველი რევოლიუციის დროს, გაიგო რა სომეხ-თათართა შეტაკების შესახებ, ის იჭქარის ბორჩალოს მაზრაში და მოგზაურობს სომხების თათრების სოფლებში და მოუწოდებს ხალხს არ უღალატონ ურთიერთშორის არსებულ საუკუნოებრივ ნდობას და მეგობრობას.

ასეთივე იყო ის სომხეთ-ქართველებს შორის წარმოებულ ომის დროს (1918 წლის დეკემბრის დასასრულში და 1919 წ. იანვრის დასაწყისში), როდესაც მენშევიკები და დაშნაკელები ყელში სწვდენ ერთმანეთს და სურდათ ანტანტის დახმარებით გადაეწყვიტათ საკითხი თუ ვის ხელში უნდა ყოფილიყო ალავერდის მადანი და რომელ ხაზზე უნდა გაევლო „ჩინეთის კედელს" „დიდი საქართველოს" და „დიდი სომხეთის" შორის —ხრამზე თუ ბამბაკზე...

უფრო მეტი აღშფოთება იპყრობს ოვანეს თუმანიანს ვრაციან-ნჟდეხის დაშნაკურ ავანტიურის დროს. საკმარისია აქ ერთხელ კიდევ მოვიგონოთ მისი აღშფოთების სიძლიერე დაშნაკელების იმ ახალ დანაშაულების გამო.

„ღრმა მწუხარების გრძნობით, სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ რომ ე. წ. „ერევნის გადატრიალების" ავანტიურისტები გახდენ ბრმა იარაღი სომხეთის ხალხის წინააღმდეგ საშინელ შეთქმულებისა—და რომ „გადატრიალებას" მოჰყვა სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

ამგვარად ტანჯულ სომხეთის ხალხს მოევლინა ახალი უბედურება სწორედ იმ დროს, როდესაც იგი უნდა განთავისუფლებულიყო ყოველგვარ უბედურებათაგან.

ვაცხადებ რა ენერგიულ პროტესტს ამ უბედურ მოვლენის და ბარბაროსობის წინააღმდეგ, როგორც პოეტი, რომელსაც აქვს რწმენა ახალი რუსეთისა, ვთხოვ საბჭოთა ხელისუფლებას იავიდან ააშოროს სისხლისაგან დაცლილ სომხის ხალხს ეს უკანასკნელი უბედურება"...

ოვანესი თუმანიანი არა თუ ხმა მაღლა აცხადებდა პროტესტს დაშნაკელების ბარბაროსობის წინააღმდეგ, არამედ თავის სიცოცხლესაც ხიფათში აყენებდა.

ის პირადათ მიეჩქარებოდა ერევანში, რათა დაერწმუნებია ანტანტის მიერ მოსყიდული უგუნური ბურჟუები დაეყარათ იარაღი და ესარგებლათ იმ სულგრძელობით, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლებამ ამხ. ორჯონიკიძის სახით.

დაშნაკელებს სურდათ, რომ იარაღს გადაეწყვიტა საკითხი საბოლოოდ.

და რა განუზომელი იყო ოვანეს თუმანიანის კმაყოფილება, როდესაც ამხ. ორჯონიკიძემ, შემოვიდა რა საბჭოთა სომხეთის დედა ქალაქში, მისცა სრული ამნისტია ყველას და ციხის კარები გაუღო ყველა პოლიტიკურ პატიმრებს.

ამ დღეს ის სთვლიდა თავისი იდეის გამარჯვების დღეთ. ამ დღეს ის ხედავდა ახალი რუსეთისადმი თავისი რწმენის გამართლებას.

დაშნაკცუტიუნი მას სთვლიდა „ბოლშევიკების აგენტად" ასე ახასიათებდა მას თავის წერილებში დაშნაკების ოფიციოზი „ჩაკატომარტი", თუმანიანის სტამბოლში მოგზაურობის დროს. დაშნაკცუტიუნს ჰქონდა უფლება თავისად არ ჩაეთვალა ოვანეს თუმანიანი, რამდენადაც იგი გმობდა ავანტიურისტების პოლიტიკას და სომხეთის ხალხის ბედს სამუდამოდ დაკავშირებულად სთვლიდა საბჭოთა რუსეთთან.

ოვანეს თუმანიანი იყო დიდი პოეტი მაგრამ ის ამავე დროს იყო ძმობის სიმბოლო რუსებს, ქართველებს, თათრებს და სომხებს შორის.

სამწუხაროა, რომ უდროოდ გარდაცვალებამ ხელიდან გამოგვტაცა ერთა შორის სიყვარულის ასეთი გულწრფელი იდეოლოგი.

გ. ხურინ.

ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციების მეორე ყრილობა

სამეურნეო მშენებლობა

ამხ. მიასნიკოვის მოხსენება*)

მსუბუქი ინდუსტრია.

მეტი ძალები და შესაძლებლობა გვაქვს ე. წ. მსუბუქი, ადგილობრივი ხასიათის ინდუსტრიის დარგში.

ამ მრეწველობის დარგები ამიერკავკასიაში სხვა და სხვა ნაირია, ასეთია მეღვინეობა, წარმოება სპირტის და კონიაკისა, თამბაქოსი, ბამბის გასაწმენდი, ხის დამმუშავებელი, ქარხნები ტყავეულობისა, საპნისა, ძეხვებისა და კონსერვებისა, უკანასკნელ ხანებში ფეხს იკიდებს მანუფაქტურის მრეწველობაც. აზერბაიჯანში ჩვენ გვაქვს ყოფ. ტაგიევის, ახლა ლენინის ფაბრიკა. ეს ერთად ერთი ფაბრიკაა, რომელიც ამიერკავკასიაში მუშაობს, სომხეთმა და საქართველომ რუსეთიდან მიიღო თითო საფეიქრო ქარხანა და დგამენ მათ, ასე რომ მსუბუქი ინდუსტრიის ეს დარგი უკვე ფეხს იკიდებს.

ეს მსუბუქი ინდუსტრია საჭიროა ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. არის კიდევ სხვა დარგებიც, მაგალითად წუმწუმას წარმოება და სხვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მსუბუქი ინდუსტრია მეტად საჭიროა ჩვენი მხარისათვის.

მაგრამ ამ საგნებს შორის მასიური ხასიათი აქვს ღვინოს, სპირტს, კონსერვებს, რომლის გატანა შეიძლება სხვა ბაზრებზეც.

ასეთია სურათი ჩვენი მრეწველობის ორივე დარგის მდგომარეობისა.

რაზე ვაჩერებთ ჩვენ ყურადღებას.

აქ უნდა დავსვათ კითხვა: როგორ მოვექცეთ მრეწველობას—შეგვიძლია თუ არა ჩვენ ერთბაშათ დავძლიოთ იგი თუ საჭიროა ჯერ მის ერთ მხარეს მივაქციოთ ყურადღება.

და ჩვენ ვამბობთ: „იმდენათ, რამდენათაც მძიმე ინდუსტრიისათვის, რომელსაც დიდი მომავალი აქვს, ჩვენ არ შეგვიძლია რესურსების მიცემა, რადგან ამისათვის საჭიროა დიდი კაპიტალი, მიმოსვლის გზები, ელექტროფიკაცია, გამოცდილი მუშები, ჩვენ ყურადღება უნდა შევაჩეროთ მსუბუქ ინდუსტრიაზე და ამ ინდუსტრიას მივცეთ ჩვენი რესურსები.

ასეთ აზრს გამოსთქვამდენ ამას წინათ დახურულ ეკონომიურ თათბირზე.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ მთელი წარმოების ერთბაშად აღდგენა?—არა, ჩვენ ვერ შევსძლებთ ამას, ჩვენ ხელს ვკიდებთ მრეწველობის ერთ ნაწილს, ყოველ შემთხვევაში 23, 24 და 25 წლებისთვის შევეცადეთ ამ მსუბუქი მრეწველობის განვითარებას, და როცა ჩვენი მეურნეობის ძარღვებში ცოტა მეტი სისხლი ამოძრავდება, ჩვენ დაუბრუნდებით მძიმე მრეწველობის ბედს.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ უნდა დავივიწყოთ მსხვილი მრეწველობა.

ვაჭრობა და მისი პერსპექტივები.

ჩვენი მეურნეობის მესამე მხარეა ვაჭრობა. ვაჭრობის სფეროში, ამხანაგებო, ჩვენ უნდა შევიტანოთ საგრძნობი ცვლილებები. ამ მხრივ ჩვენ ბევრ გაუგებრობასთან გვაქვს ადგილი. საგარეო ვაჭრობაზე მე არ ვლაპარაკობ, რადგან ის ჩვენი მაგარი ადგილია.

მე ვლაპარაკობ შინაურ ვაჭრობაზე, ჩვენი მეურნეობა იზრდება, იწყება გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, სხვა და სხვა წარმოებებს შორის, მაგრამ ვინ ვაჭრობს? ვაჭრობს ყველა, ვისაც კი არ ეზარება. ვაჭრობენ სამეურნეო ორგანიზაციები და სპეციალურათ ამ მიზნით შექმნილი სავაჭრო ორგანოები, ვაჭრობს კოოპერაცია, უკანასკნელი ხშირათ გარიყულია ამ მუშაობიდან.

მე ვფიქრობ, რომ ვაჭრობის წარმოება შეუძლია და უნდა აწარმოოს თვით სამეურნეო ორგანოებმა. ამ კითხვას მე ვაყენებ იმიტომ, რომ ჩვენ წრეში არის აზრი, თითქოს სამრეწველო ორგანოები უნდა ჩამოშორდენ ვაჭრობას. მე ვფიქრობ, რომ ეს შემცდარი აზრია. რასაკვირველია ვაჭრობის მოსაწესრიგებლად და სახელმძღვანელოთ უნდა არსებობდენ სპეციალური ორგანოები, რუსეთში არის შინაურ ვაჭრობის კომისარიატი, ადერბეიჯანში ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

კოოპერაციის როლი.

სახეში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ კოოპერაციას ვაჭრობის საქმეში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. კოოპერაციის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში და დიდათ შემცდარი არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კოოპერაცია იმდენათ საჭირო არ არის ამ საქმეში. ვაჭრობა, რომელიც მტკიცედ დაკავშირებულია მაიებთან, უნდა იქნეს კოოპერატიული ორგანოების ხელში. კოოპერაცია უნდა ჩავითრიოთ ამ მუშაობაში.

მე გიდგენთ შემდეგ სქემას: ვაჭრობის წარმოების საქმეში პირველ რიგში უნდა ჩაერიონ მწარმოებელი ორგანიზაციები. მათ გარეშე საქმე არ გაკეთდება. წარმოებასა და გაცვლის საქმეს შორის მტკიცე კავშირი უნდა გაიბას. ვიმეორებ, რომ კოოპერატიულ ორგანოებს ამ საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს.

მეურნეობის მოწყობის საკითხები.

ახლა გადავალ საორგანიზაციო საკითხებზე.

აქ არის ორი ხასიათის საკითხები. პირველია კითხვები, რომელიც უშუალოდ შეეხება მეურნეობის ორგანიზაციის საკითხს. მეორეა—ამიერკავკასიის მეურნეობის მოწყობა.

პირველი რიგის კითხვებში პირველათ დგას ეკონომიური გეოგრაფიის საკითხი.

ეკონომიური გეოგრაფია.

რა არის ეკონომიური გეოგრაფია. ეკონომიური გეოგრაფია ისეთი საგანია, რომელიც გვაჩვენებს რა ეკონომიური რაიონები გვაქვს, რა ურთიერთობა და ურთიერთ გავლენა აქვთ მათ.

ეკონომიური გეოგრაფიის ცოდნა ნიშნავს ეკონომიურ კითხვებში გარკვევას. ეს საგანი შესაფერად უნდა დავაყენოთ.

კოჭლობს აღრიცხვა და სტატისტიკა, ეს უძველესი ჭეშმარიტება. ამიერ-კავკასიისათვის ამ ჭეშმარიტებას თავისი სიახლე აქვს. ცალკე ამხანაგებმა არ იციან რა ხდება მათ გვერდში. როცა ჩვენ ვქმნით მთლიან მეურნეობას, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, მივდივართ მისკენ, უნდა ვიცოდეთ თუ რა რესურსებია ჩვენს განკარგულებაში. ჩვენ არ გვაქვს მთლიანი სტატისტიკა. რესპუბლიკებში სხვადასხვა სტატისტიკაა, ისიც მეურნეობის მხოლოდ ზოგიერთი დარგების შესახებ. ასე დიდხანს ცხოვრება შეუძლებელია.

სოციალისტური მეურნეობის გეგმა.

შემდეგი არის სოციალისტური მეურნეობის გეგმის საკითხი. ამ საკითხს ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ. გეგმის საკითხი, ჩვენი მეურნეების აზრით, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საკითხია. მეურნეობის საკითხი ეხება სამეურნეო საბჭოსაც, მიწადმოქმედებასაც, ფინანსთა კომისარიატსა და ყველა სამეურნეო ორგანოებს ისე რომ განსაკუთრებული გეგმა, განსაკუთრებული ორგანო ამ გეგმის გამოსამუშავებლათ, საგეგმო კომისია, როგორიც რუსეთშია, უნდა არსებობდეს, რომ თითეული ორგანიზაცია არ ქონდეს დამოუკიდებელ, საკუთარ გეგმას. ჩვენში არის ასეთი დაქსაქსული გეგმით მუშაობა. ამის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს სამეურნეო წესრიგმა, დისციპლინამ.

მე არ ვიცი ილაპარაკა თუ არა თავის მოხსენებაში ამხ. თუმანოვმა, მაგრამ მე ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო ამ საკითხს. უკვე მიდის ამხანაგი მსხვილი სამეურნეო გეგმით, ხელში უჭირავს სმეტა, წვდება ყელში ფინანსთა კომისარს და მოითხოვს გაიღოს 100—200 მილიარდი და სხვა. როცა იწყებენ შემოწმებას ირკვევა, რომ ამ გეგმას მხარი არ უნდა დაუჭიროთ. ხშირათ სმეტა სწორეთ არ არის შედგენილი და თვით ავტორი დიდი დავიდარაბის შემდეგ მეოთხედით, ნახევრათ ან 1 ნახევარჯერ ამცირებს მას, ეს ამტკიცებს საქმისადმი არასერიოზულათ მიდგომას.

განვითარებულ სამეურნეო ქვეყნებში გეგმებს და სმეტებს იმუშავებენ არა დღეების, არამედ თვეების და წლების განმავლობაში; მაგალითად, ამხ. ვარეიკისი ფიქრობს, რომ დეკემბერში მუშაობას დაიწყებს ბაქოს ტრამვაი მან და მასთან ერთად ბაქოს პროლეტარიატმა ფიქრი ტრამვაის შესახებ წლინახევრით ადრე დაიწყო, ვიდრე ტრამვაი ამუშავდებოდა. გამოიმუშავეს გარკვეული გეგმა, გამონახეს საჭირო საშვალებანი და ამ გეგმით ამხ. ვარეიკისი დეკემბერში აპირებს პირველი ვაგონების გამოშვებას. ამრიგად მას აქვს წინასწარი გეგმა, ანგარიშიანობა და სხვა.

დაბოლოს დგას კიდევ ერთი საკითხი—სამეურნეო მუშაკების მომზადების შესახებ. ამ კითხვას აყენებს ამხ. ტროცკი. ამას ჩვენთვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს. საჭიროა აღვზარდოთ მუშაკები სამეურნეო დარგისათვის, ვიქონიოთ გარკვეული სკოლა, პრაქტიკა და სტაჟი. ეს სერიოზული კითხვაა და იმავ დროს საფუძველი სამეურნეო მშენებლობისა.

ახლა რამდენიმე სიტყვა მთელი მეურნეობის მშენებლობის შესახებ.

ფაბრიკა რჩება ძირითად უჯრედათ, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი მეურნეობა. ფაბრიკა-ქარხნების მთელი რიგი შეადგენს ტრესტს ან სინდიკატს. ტრესტი ისეთი სამეურნეო ორგანიზაცია არის, რომელიც აერთებს, აწესრიგებს და ხელმძღვანელობს სამეურნეო უჯრედების—ფაბრიკა-ქარხნების მთელ რიგს, ასე რომ ის არის ცენტრალისტური ორგანო, რომელიც აკავშირებს ცალკე ერთეულებს ფაბრიკა ქარხნებს. სინდიკატი ამ მხრივ სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. სინდიკატი საერთო ხელმძღვანელობას უწევს ფაბრიკა-ქარხნებს. ის მას აძლევს მეტ თავისუფლებას. საბჭოთა მრეწველობა უფრო სცნობს ტრესტების სისტემას.

რომ კარგათ დავაყენოთ ეს ტრესტები და სინდიკატები, მივიღოთ კარგი პროდუქცია და საუკეთესო შედეგები, ამ სამეურნეო ორგანოებს სახეში უნდა ქონდეს განსაზღვრული პირობები.

კარგი მეურნეობაა, თუ ანგარიშის საქმე კარგათ აქვს დაყენებული, თუ არის კალკულიაცია და კანტროლი კალკულიაციაზე და ანგარიშიანობაზე. ეს, ერთის შეხედვით, ვითომ უბრალო კითხვაა, რომელზეც შეჩერებაც არ ღირს.

საქონელზე წინასწარ არ წესდება ფასები: ჩვენ არ ვიცით მისი თვითღირებულება, არ ვიცით როგორ გავყიდოთ, არ ვიცით რა მოგება გვექნება. ეს ხშირათ მტკიანი ადგილია.

ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭო და მისი ამოცანები:

ახლა ნება მიბოძეთ გადავიდე ამიერ-კავკასიის მეურნეობის ადმინისტრაციულათ მოწყობაზე. მე სახეში მაქვს საკითხი ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შესახებ ამ საბჭოს მოწყობა გვინდოდა ჩვენ საკავშირო საბჭოსთან. უმაღლესი ეკონომიური საბჭო გათვალისწინებულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის კონსტიტუციითაც. ეს საკითხი მრავალჯერ იდგა საოლქო კომიტეტის სხვა და სხვა კომისიებში, სახკომსაბჭოში. ცალკე ამხანაგები ერთმანეთს უზიარებდენ თავიანთ აზრს ამ საკითხის შესახებ და ახლა ჩვენ ვიცით სად მოვნახოთ საშუალო ხაზი უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მოსაწყობათ.

რა არის ეკონომიური საბჭო? ეს იქნება ისეთი ორგანო, რომელიც სათავეში ედგომება ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ ეკონომიკას. რომელიც აამოძრავებს ამ ეკონომიკას, მოაწესრიგებს და უხელმძღვანელებს მას. ამ მხრივ მას კავშირი უნდა ქონდეს რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან ან თათბირებთან.

ამას გარდა ამ ორგანოსთან უნდა იყოს, ან ის თვით უნდა შეიცავდეს ისეთ აპარატს, რომელიც უშუალოდ გააერთიანებს ან უხელმძღვანელებს ჩვენი მეურნეობის მომქმედ ორგანოებს.

როგორც თქვენ იცით, ამიერ-კავკასიაში სახალხო მეურნეობის საბჭო ჩვენ არ გვაქვს და არც ვაპირებთ შექმნას. მაგრამ უნდა გვქონდეს რაიმე ორგანო, რომელიც გააერთიანებს უმაღლეს სამეურნეო საბჭოების ღონისძიებებს, რომელიც შეაკავშირებს მუღანის ველის მორწყვის სამმართველოს, მელიორაციას და სხვა.

მაგალითად ჩვენ გვინდა საერთო ძალღონით წინ წავსწიოთ შებამბვის საქმე. ვინ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი? უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ. მაგრამ შეძლებს კი ის თავისი საერთო აპარატით მეურნეობის ამ დარგების ხელმძღვანელობას? ამისათვის თვით უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში უნდა იყოს ასეთი აპარატი კომისიის თუ კომიტეტის სახით, რომელიც დაკავშირებული იქნება რესპუბლიკების სამეურნეო საბჭოებთან, მუღანის სამელიორაციო სამმართველოსთან და სხვა.

როგორც ხედავთ, მრეწველობა რესპუბლიკებში რჩება ადგილობრივი ორგანოების ხელში, მას ხელმძღვანელობენ ადგილობრივ საკუთარი ინიციატივით. მე დაწვრილებით შევჩერდებოდი უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ორგანიზაციის საკითხზე, მაგრამ არ არის საჭირო, რადგან ეს სპეციალური პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კომისიების, სახკომსაბჭოს და თვით უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეა.

მთლიანი ეკონომიკა—ფედერაციის ძალაა.

ჩვენ შევძლებთ ამიერ-კავკასიის მეურნეობის შექმნას, მის აღდგენას, გაძლიერებას და წინ წაწევას, უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მოწყობას ერთის პირობით—თუ ვაღიარებთ, რომ ეკონომიკის სფეროში არ არსებობს დებულება, რომ ჩვენი მეურნეობა დაყოფილია, რომ სამეურნეო მხრივ თითეული რესპუბლიკა ცალკე ერთეულს წარმოადგენს და თავის მეურნეობას დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს და განაგებს; თუ ჩვენ სახეში ვიქონიებთ, რომ განვითარება, თვითმოქმედება, ნაციონალური და კულტურული დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობა რესპუბლიკებისა მტკიცე იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი საფუძველი საერთო მეურნეობა მაგარი იქნება.

მე ჩემი მოხსენება დავიწყე იმით, რომ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში ყველა პირობებით და ნიშნებით არის მთლიანი ეკონომიკა, მთლიანი ეკონომიკა კი უნდა ხელმძღვანელობდეს მთლიანი პოლიტიკით.

აი, ამხანაგებო, ის მთავარი, რაც უნდა მისცეს ჩვენმა ყრილობამ ჩვენს სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებს.

---

*) დასასრული. იხ. გაზ. „კომ."-ის № 68

მენშევიკების განცხადება

წერილი რედაქციის მიმართ.

თუ ოდესმე საჭირო იყო მუშათა კლასის ერთსულოვანება შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დღეს.

ჩვენ ქ. ფოთის ძველი მუშები და სხვა და სხვა დარგის მოხელენი, აქტიური მომუშავენი ს. დ. პარტიაში (მენშევიკების ვიდრე საქართველოს გასაბჭოებამდე, ამ ჟამად ყოველივე პოლიტიკური მოღვაწეობის გარეშე ვდგევართ რაც სამწუხაროთ და სავალალოთ მიგვაჩნია.

ამისთვის, ვუწევთ რა ანგარიშს შექმნილ მდგომარეობას, ჩვენ მიზანშეწონილათ და შესაძლებლათ მიგვაჩნია, თანახმად თქვენი გაზეთის 67 ნომერში ამხ. კ. გოგოლამის) მიერ მოთავსებული წერილის შინაარსისა საერთო ენის გამონახვა ჩვენსა და კომუნისტებს შორის ვიზიარებთ სავსებით რა ხსენებულ აზრს, მოუწოდებთ ჩვენ თანამოაზრეებს, რომ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ იდეის განხორციელებაში. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს შესაძლებელია და სრული თავდები იქნება ჩვენი სოციალისტურ წესწყობილების განმტკიცების და მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისა.

1.	**გუბელაძე** დიმიტრი	პარტიის წევრი	1903	წლიდან
2.	**პაიჭაძე** სოლომონ	„	1901	„
3.	**მეგრელიძე** ბართლომე	„	1903	„
4.	**ტუღუში** ლავრენტი	„	1904	„
5.	**მანწკავა** სამსონ	„	1905	„
6.	**უნგიაძე** თეოფილე	„	1905	„
7.	**ქერქაძე** სერგო	„	1906	„
8.	**ბაზიარი** რაჟდენ	„	1902	„
9.	**ანდღულაძე** გერასიმე	„	1917	„
10.	**საბანაძე** ვასილ	„	1903	„
11.	**მამალაძე** ნოე	„	1905	„
12.	**ჩოჩია** კლემენტი	„	1905	„
13.	**კუპრავა** პლატონ	„	1917	„
14.	**მამალაძე** სამსონ ალექს.	„	1903	„
15.	**დარჩია** თეოფილ დიმიტრის ძე	„	1917	„
16.	**კალანდაძე** ირაკლი	„	1906	„
17.	**ბაზიარი** იოსებ	„	1906	„
18.	**ჩაჩიბაია** სოკრატე	„	1913	„
19.	**ხაფთასი** სიო	„	1903	„
20.	**შამუგია** პავლე ბიჭიას ძე	„	1917	„
21.	**ჩაგანავა** ტიტე	„	1919	„
22.	**ქორქია** ვანო დ.	„	1907	„
23.	**გოგიჩაიშვილი** სიო	„	1908	„
24.	**ბოკუჩავა** ანტონ	„	1917	„
25.	**ჩხარტიშვილი** კონსტანტინე	„	1917	„

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

დახვრეტა და გადასახლება.

ბერლინი. 27 მარტი. ესსენის მიდამოებში ფრანგებმა დახვრიტეს სამთამადნო მუშა ბრასტი—27 წლისა. ვისბადენიდან იტყობინებიან ახალ გადასახლებათა და დაპატიმრებათა შესახებ.

აკრძალულ გაზეთების კითხვისათვის.

ბერლინი 27 მარტი. დორტმუნდიდან იტყობინებიან კასტრინგაში ერთ ადგილობრივ მოხელეს 6 თვის ციხე და 1 მილ. მარკ. ჯარიმა მიუსაჯეს აკრძალულ გაზეთების კითხვისათვის.

ოკუპაციის გარშემო

შვეიცარიის მუშების დახმარება.

მოსკოვი. 27 მარტი. შვეიცარიის პროფკავშირთა გაერთიანებამ გამოსცა მოწოდება რურის მუშების ბავშვთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და გამოსთქვა აზრი აიყვანონ ისინი თავის ხარჯზე.

ჩიხში.

მოსკოვი. 27 მარტი. ინგლისის გაზეთის „ტაიმს“-ის აზრით არ შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ რურის საკითხი გადაიჭრება მშვიდობიანის გზით. საფრანგეთის მთავრობამ, როგორც სჩანს, გადასწყვიტა განაგრძოს იძულებითი პოლიტიკა გერმანიის მიმართ. მეორე მხრივ, გერმანიის მთავრობა განაგრძობს ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობის გაწევას. საკითხის მოგვარება, გაზეთის აზრით, შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია სისწორით აღნიშნავდა რის მიცემა შეუძლია მას ამ ჟამათ და საფრანგეთი თავის მხრით დაადასტურებდა, რომ ის მზათ არის მიიღოს.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების საკითხი

ხმები მოლაპარაკების შესახებ.

მოსკოვი. 27 მარტი. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები დარწმუნებული არიან, რომ გერმანიის მთავრობა მზათ არის დაუყონებლივ დაიწყოს მოლაპარაკება მოკავშირეებთან. გაზეთ „ტანის“ ცნობით ბრიტანეთის ელჩმა ბერლინში წარადგინა ლონდონში გერმანიის წინადადებათა შემდეგი პროექტი: გერმანია ვალდებულია გაატაროს შინაგანი სესხი. გერმანიას ეძლევა. აგრეთვე საერთაშორისო სესხი, რომლისაც გარანტიათ უნდა დაედოს საბაჟოებისა და რკინის გზების შემოსავალი და მრეწველობის მოგების ნაწილი.

საოკუპაციო ჯარის გადიდება.

მოსკოვი. 27 მარტი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობამ საჭიროთ სცნო გაადიდოს საფრანგეთის ჯარების რიცხვი რურში 20,000 ჯარის კაცით.

გერმანიის ამბები

ნაციონალისტების დაპატიმრება.

მოსკოვი. 27 მარტი. გერმანიაში გრძელდება ტევტონების თავისუფლების პარტიის წევრთა დაპატიმრება. გერმანიის ნაციონალისტურ პარტიამ რეიხსტაგში და პრუსიის ლანდტაგში შეიტანა შეკითხვა ტევტონების პარტიის დაშლის შესახებ და უწოდებს ამ მოვლენას „კანონის ტლანქ დარღვევას“. მემარჯვენე პარტია სასტიკათ ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კომუნისტურ გაზეთის „როტე ფანეს“ წინააღმდეგ. მემარჯვენე პრესა, მათ რიცხვში სტინესის ორგანოც, ავრცელებს რაღაც ყალბ ცნობებს კომუნისტების მომავალ სერიოზულ გამოსვლების შესახებ ცდილობს დაუფაროს საზოგადოებას მემარჯვენეთა მოქმედება.

სევერინგის განკარგულება.

მოსკოვი. 27 მარტი. 25 მარტს სევერინგის განკარგულების თანახმად პრუსიის პოლიცია ღებულობდა ზომებს გერმანიის ნაციონალისტების მოსალოდნელ გამოსვლების წინააღმდეგ.

თხოულობენ განმარტოს.

მოსკოვი. 27 მარტი. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ინიციატივით შედგება რეიხსტაგის საგარეო საქმეთა პარლამენტარული კომისიის სხდომა. ამ კომისიაში სოციალ-დემოკრატებს განზრახული აქვთ აიძულონ კანცლერი კუნო ნათლად განმარტოს თავისი აზრი საფრანგეთთან მოლაპარაკების საკითხის შესახებ.

აღმშენებლობის დარგის მუშათა გაფიცვა.

მოსკოვი. 27 მარ. კელნის 10.000-მა აღმშენებლობის დარგის მუშამ გამოაცხადა გაფიცვა შრომის ხელფასის მომატების მიზნით. პროფკავშირის ყვითელ ელემენტებმა არ დაუჭირეს მხარი გაფიცვას, ხსნიან რა ამას მთლიან ნაციონალურ ფრონტის შენახვის აუცილებლობით.

ისინი ჩხუბობენ, მუშები კი თავის საქმეს აკეთებენ.

მოსკოვი. 27 მარტი. სევერინგის გალაშქრებამ ტევტონების თავისუფლების პარტიის წინააღმდეგ შეაკავშირა გერმანიის ყველა მემარჯვენე პარტიები, რომელნიც აწარმოებენ საერთო კამპანიას სევერინგის წინააღმდეგ; გაძლიერდა აგრეთვე სოციალ-დემოკრატების აქტივობა, რომელნიც მხარს უჭერენ სევერინგს მემარჯვენეთა წინააღმდეგ გალაშქრებაში და ამასთან ერთად აწარმოებენ კამპანიას კომუნისტების წინააღმდეგ. უმთავრესათ ებრძვიან პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციებს, რომელნიც სოციალ-დემოკრატების ფართო წრეებში თანდათან იხვეჭენ სიმპატიას... სანამ სოციალ-დემოკრატების ცენტრალური ორგანოები ებრძოდენ მუშათა ამ მოძრაობას, უკანასკნელმა კომუნისტებთან ერთად უკვე შექმნეს პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციები. სოციალ-დემოკრატების ლიდერები ღონობენ ყოველგვარ საშუალებას, რათა ჩაჰქრონ ეს მოძრაობა პარტიის რიგებში.

დებატები პრუსიის ლანდტაგში

მოსკოვი. 27 მარტი. სევერინგის სიტყვის შესახებ დებატებში გერმანიის სახალხო პარტიის დეპუტატებმა ენერგიული პროტესტით სასტიკათ გაილაშქრეს სევერინგის განკარგულების წინააღმდეგ პარტიის დაშლისა და მისი ქონების კონფისკაციის შესახებ. სოციალ-დემოკრატი გელმანი მხარს უჭერდა სევერინგის წინადადებას, რომელსაც დაუშვებლათ მიაჩნია პროლეტარულ ორგანიზაციების არსებობა. კომპარტიის დეპუტატმა ებერლეინმა სთქვა, რომ არსებით სევერინგი ემუქრება არა მემარჯვენე ელემენტებს, არამედ—კომუნისტურ პარტიას, ამიტომ პროლეტარიატი ვალდებულია ურყევათ განაგრძოს თავდაცვის ორგანიზაციების შექმნა და წელში გასტეხოს სოციალ-შემთანხმებელთა წინააღმდეგობა. პრუსიის ლანდტაგმა უარყო კომუნისტების წინადადება პროლეტარულ რაზმების დახმარებით და სახელმწიფო საშუალებებით ბურჟუაზიულ თავდაცვითი ორგანოების დაშლის შესახებ.

სტინესის მოგზაურობა

სტინესი რომში „პირადი საქმეების გამო“.

რომი. 27 მარტი. თავის პირადი მდივნის თანხლებით რომში ჩავიდა სტინესი. მას სურს დაფაროს რომში ყოფნა; ამასთანავე გერმანიის საელჩო უარს ამბობს გასცეს რაიმე ცნობები სტინესის ჩასვლის მიზნების შესახებ და ყოველგვარ შეკითხვებზე უპასუხებს, რომ სტინესი თავის პირად საქმეებზეა ჩასული. მაგრამ დიპლომატიურ წრეებში სტინესის ჩასვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

„მეფეები“ თათბირობენ.

გუშინ სტინესს ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი ამერიკის „ფოლადის მეფისთან“ გერრეისთან, ხოლო დღეს დილით ის ინახულებს ამერიკის დელეგატს სავაჭრო პალატათა კონფერენციაზე კენტს, რომელიც არის საკონტრიბუციო საკითხის მოწესრიგების პროექტის ავტორი. საღამოზე სტინესი გაემგზავრება მილანში, სადაც გუშინ მუსოლინი წავიდა. მილანში მიემგზავრება აგრეთვე ამერიკის მთელი დელეგაცია. მიღებული ცნობების თანახმად, მილანში მიემგზავრება ბრიუსელიდან ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრი ჟასპარი.

„მზადდება მნიშვნელოვანი ამბები“.

საკმარისია ერთმანეთს დაუპირდაპიროთ ეს სახელები და მოგზაურობანი და მოვიგონოთ სავაჭრო პალატათა კონფერენციაზე ამერიკის დელეგაციის პოზიცია. რომ გადაჭრით შეგვეძლოს ვიწინასწარმეტყველოთ მნიშვნელოვანი ამბების მზადება. რადგან საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის გადადება შეუძლებელია, ისარგებლეს რა სავაჭრო კონგრესით, გადასწყვიტეს აირჩიონ იტალია ადგილად, სადაც მოხდება აზრთა გაზიარება საკონტრიბუციო საკითხით დაინტერესებულ მხარეებს შორის.

სტინესი ურჩევს ამერიკელებს.

ამერიკის დელეგაციის წევრთა მუსთან, ბერნსთან და კენტთან შეხვედრის დროს სტინესი ურჩევდა მათ ჩაერიონ რურის კონფლიქტში. თათბირის შედეგებს საიდუმლოთ ინახავენ როგორც ამერიკის დელეგაციის წევრები, ისე გერმანიის საელჩო. ამბობენ, რომ შესაძლებელია ამერიკის ფინანსისტებმა თავის თავზე მიიღონ გერმანიის ვალები. კენტის განცხადებით, ამერიკის საქმიანი წრეები საკონტრიბუციო საკითხის ამგვარად გადაწყვეტას საუკეთესოთ სთვლიან.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა კლემენმა გამოსთქვა სრული კმაყოფილება „საკონტრიბუციო საკითხზე ამერიკის დელეგაციის შეხედულების გამო“. მთავრობა თავდაჭერილად და სიფრთხილით ეპყრობა სტინესს.

სტინესი თათბირობს მინისტრებთან.

პარიზი. 27 მარტი. რომის გაზეთი „ტრიბუნის“ ცნობით, სტინეს, ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგთან ფინჩისთან, რომელსაც აცნობა ამერიკელებთან თავის საუბრის შესახებ. ამის შესახებ ფინჩი ტელეფონით ელაპარაკა მუსოლინს. „ჯორნალ დ'იტალიას“ ცნობით, სტინესი ეთათბირა აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრების ამხანაგს კონტარინის. მთელი თათბირი შეეხებოდა საკონტრიბუციო საკითხს.

სტინესის გამგზავრება.

რომი. 27 მარტი. დღეს ღამით სტინესი მიემგზავრება რომიდან გერმანიაში.

სტინესის დიპლომატიის შედეგი.

რომი. 27 მარტი. დიპლომატიური წრეები იტყობინებიან რომ სტინესის და ამერიკელ ფინანსისტებს შორის გამართულ თათბირზე განხილული იქნა საკონტრიბუციო საკითხი, ამასთანავე გადასწყდა მიღებულ იქნას ამერიკელების წინადადება ამერიკელ ფინანსისტებისაგან ბუსის თავმჯდომარეობით კომისიის შედგენის შესახებ. ეს კომისია გაემგზავრება გერმანიაში ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობათ და გადახდის უნარიანობის გამოსარკვევათ, შესაძლოა, რომ ამერიკის ფინანსისტების და მრეწველების მიერ გერმანიის ეკონომიურ და საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ—დადებული იქნება ახალი ხელშეკრულება.

ახლო აღმოსავლეთში

ინახავენ სასტიკ საიდუმლოებაში.

ლონდონი 27 მარტი ლონდონის თათბირის პლენარული სხდომა ოსმალეთის კონტრ-წინადადებების შესახებ გამომუშავებულ პასუხის განსახილველად შესდგება ხვალ. ლორდ კერზონის წინადადების თანახმად კომისიის ყველა გადაწყვეტილებანი შენახულ უნდა იქნას სასტიკ საიდუმლოებაში.

გლეხების საჩუქარი.

მოსკოვი. 27 მარტი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ადანის გლეხებმა უძღვნეს ქემალ ფაშას ოქროს სახნისი.

ოსმალეთის კონტრ-წინადადებების განხილვა.

მოსკოვი. 27 მარტი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ექსპერტებმა 25 მარტს დაასრულეს ოსმალეთის კონტრ-წინადადებების განხილვა.

კომუნისტების გასამართლება.

მოსკოვი 27 მარტი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის წევრთა გასამართლება. გრძელდება ბრალდებულთა შორის არის ტოკადის ყოფილი დეპუტატი ნაზიმ-ბეი.

ლონდონის თათბირი

არ თანხმდებიან.

რომი. 26 მარტი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ლონდონის თათბირზე გადაწყდა უარყოფილი იქნეს ოსმალეთის მიერ შეტანილი ყოველგვარი ტერიტორიალური ცვლილებანი. თათბირმა აგრეთვე უარი სთქვა გამორიცხული იქნეს ხელშეკრულობიდან ეკონომიური სტატიები. კასტელორიცცო დატოვეს იტალიის სუვერენიტეტის ქვეშ.

უფლება კასტელო-რიცცოზე.

რომი. 26 მარტი. ლონდონის გაზეთების ცნობით მოკავშირეთა თათბირმა, გაეცნო რა პოლიტიკურ და იურიდიულ კომისიებში იტალიის განცხადებას, იცნო იტალიის უფლება კასტელო-რიცცოზე. მოსულის საკითხი იქნება გამოყოფილი და გადაეცემა ინგლისსა და ოსმალეთს უშუალოთ განსახილველათ.

ოსმალეთი მზათ უნდა იყვეს ომისათვის.

ანგორა. 23 მარტი. „ენი გიუნი“ უკეთებს რა ლონდონის თათბირს კომენტარიებს, სწერს: ლონდონის თათბირს არ სურს მისცეს ოსმალეთს მშვიდობიანობა. ლონდონში შეკრებილი ყაჩაღები ამზადებენ ახალ საშინელებას. ოსმალებმა იციან, რომ მთელი ევროპა უმზგავსო ყაჩაღებია. ჩვენ შევცდით, რომ აღმოვჩნდით მეტად მშვიდობის მოყვარენი. საფრანგეთს სურს დაახრჩოს გერმანიასთან ერთად ოსმალეთიც, ინგლისი ასრულებს დირიჟორის როლს, იტალია ხელს უწყობს ინგლისს და საფრანგეთს. იტალიის საზოგადოებრივი აზრი მოტყუილდა მშვიდობიანობის დამყარების შესაძლებლობაში და ეხლა ოსმალეთიც პესიმისტურათ შეყურებს ამ შესაძლებლობას. მშვიდობიანობის დამყარების იმედი არ არის და ეხლა მთელი ჩვენი ხალხი უნდა ფიქრობდეს მხოლოდ ომზე.

საფრანგეთში

საფრანგეთის პარლამენტში.

მოსკოვი. 27 მარტი. საფრანგეთის პარლამენტში აპრილის და მაისის ბიუჯეტის განხილვის დროს, კომუნისტმა-დეპუტატმა ბერტონმა უწოდა პუანკარეს ნაციონალური ბლოკის მეთაურის ლეონ დოდეს ტყვე ამაზე საპასუხოდ პუანკარემ ბერტონს მიმართა დამამცირებელი სიტყვებით. პუანკარეს უდიერ გამოსვლას მოჰყვა აღშფოთების ხმები მემარცხენეების სკამებიდან. დეპუტატების მოთხოვნილება, რათა მოწოდებია პუანკარე წესიერებისაკენ, პარლამენტის პრეზიდენტის მიერ უყურადღებოთ იქნა დატოვებული, მოქმედ ჯარში 1921 წელს გაწვეულების დატოვების საკითხის განხილვის დროს, კომუნისტმა რაინ კუტიურიემ განაცხადა რომ ამ ზომის გატარება დაუჯდება საფრანგეთის ხალხს 28 მილ. ფრანკი. სამხედრო მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობა იძულებულია დატოვოს სამსახურში 1921 წელს გაწვეული იმის გამო, რომ აუცილებელია რურში საოკუპაციო ჯარების გაძლიერება 20000 კაცით. მთავრობის ღონისძიება მოწონებული იქნა პალატის უმრავლესობის მიერ, კომუნისტების ხმის წინააღმდეგ.

„ჰუმანიტე“ ფრანკფურტის კონფერენციის შესახებ.

მოსკოვი 27 მარტი. კომუნისტური გაზეთი „ჰუმანიტე“. ადარებს რა ფრანკფურტის კონფერენციის გადაწყვეტილებებს მოკავშირეების სოციალისტების წარმომადგენელთა კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებებს, სწერს: „თვით ფრანკფურტის კონფერენციის მოწვევა წარმოადგენდა ისტორიულ მოვლენას. მუშათა ინტერნაციონალს არასოდეს ასე გაბედულად არ გამოუთქვამს თავისი ამოცანები. ინტერნაციონალიზმი ხდება მატერიალურ ძალად, რომელზედაც დაიმსხვრევა იმპერიალიზმის ბოროტი განზრახვები. სოციალისტურმა კონფერენციამ, პირიქით, კვლავ დაამტკიცა თავისი უილაჯობა და რეფორმისტების გამცემლობა.

ამერიკა

ამერიკელ კომუნისტების პროცესი.

მოსკოვი. 27 მარტი. ამერიკელ კომუნისტების პროცესზე, ფოსტერის მეთაურობით, დამცველების პირველმა მოწმემ მუშათა პარტიის აღმასკომის მდივანმა რუტენბერგმა განაცხადა, რომ მუშათა პარტია „აშკარათ იქცევა კომუნისტურ პარტიათ და თქვენ წინაშე,—განაცხადა რუტენბერგმა,—დგას კითხვა, არის თუ არა კომუნისტური პრინციპები დანაშაული. ეს საკითხი უნდა გაარჩიოს სასამართლომ, რომელშიც შედის 9 ფერმერი, ერთი რკინის გზის მუშა, ერთი ვაჭარი და ერთი დიასახლისი ქალი. ძნელია ამ კითხვის გადასაჭრელად ამაზე უფრო შეუფერებელი სასამართლოს შემადგენლობის გამოძებნა. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხის შესახებ,—განაცხადა რუტენბერგმა,—გამოიტანს არა ეს სასამართლო, არამედ ამერიკელი მუშები, რომლებიც უსათუოდ კომუნისტების მხარეზე იქნებიან.

ავსტრიაში

მუშების წინააღმდეგობა ძლიერდება.

მოსკოვი. 27 მარტი. ვენიდან იტყობინებიან, რომ გრძელდება პასიური წინააღმდეგობა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მუშებს შორის, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას საფოსტო-სატელეგრაფო დამოკიდებულების სფეროში ძლიერდება დაბრკოლებები.

მუშები ფხიზლად არიან.

მოსკოვი. 27 მარტი. ვენიდან იტყობინებიან, რომ განახლდა მოლაპარაკება მეტალურგიული წარმოებების მეპატრონეებს და მუშებს შორის. ლოკაუტის ქვეშ მყოფ მუშების განწყობილება მტკიცეა და გამოფხიზლებული იმ ფართო დახმარების გამო, რომელსაც ისინი ღებულობენ მუშათა ორგანიზაციებიდან, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთიდან.

პოლონეთის ამბები

მიიწევს ნახშირისაკენ.

მოსკოვი. 27 მარტი. იტყობინებიან, რომ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკრჟინსკიმ ნახშირის საერთაშორისო სინდიკატთან დასდო ხელშეკრულება ზემო-სილეზიის ფართო სანახშირო რაიონის ექსპლოატაციაზე, რომელიც წლიურად იძლევა 1 მილიონ ტონნა ნახშირს.

ტფილისში ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის ჩატარების საერთო გეგმა.

პარასკევს 30 მარტს—კომუჯრედებში მოხსენებები ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის შესახებ.

კვირას 1 აპრილს—რაიპროფკოლექტივებში მოხსენებები: „რელიგია და მეცნიერება“.

ორშაბათს 2 აპრილს—ახალგაზრდობის კომკავშირის უჯრედებში—ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის შესახებ.

სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს (დღით)—იგივე უპარტიო მუშებში, არმიაში და ქალთა განყოფილებაში. საღამოს კლუბებში ანტი-სარწმუნოებრივი საღამოები „აღდგომის შეხვედრა“.

პარასკევს—გაზაფხულის დღესასწაული.

შაბათს—4 საათზე ახ. კომ. კავ. რაიკომებში ფართო მიტინგები. პროცესია ტაძრისაკენ საღამოს 7 საათზე ტაძრიდან დაიძრება კარნავალი. კარნავალის შემდეგ ყოფილ სამხედრო ტაძრის ეზოში—ინსცენიროვკა და ტაძრის გახსნა.

**ახალგაზრდობის კომკავშირის აღდგომის
ჩამტარებელი კომისია.**

ლიტვა

პოლონეთის პარტიზანების მიერ საზღვრების გადალახვა

მოსკოვი. 26 მარტი. კოვნოდან იტყობინებიან. რომ პოლონეთის პარტიზანების მიერ ლიტვის ტერიტორიის საზღვრების გადალახვა გრძელდება. 30 ცხენოსანთა და 50 ქვეითა ჯარის კაცთა რაზმი თავს დაესხა ლიტვის სადარაჯო პუნქტს სოფელ პაიდენიკის მახლობლათ ლიტოველების მხარეზე არის დახოცილები და დაჭრილები.

პოლიტიკურ პატიმართა გადაცემა

მოსკოვი. 26 მარტი. ლიტვის მთავრობამ 24 მარტს გადასცა რუს. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელს კოვნოში გადასაცვლელი პოლიტიკური პატიმრები.

სხვადასხვა ამბები

შვეცია.

კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში.

მოსკოვი. 26 მარტი. სტოკგოლმის ქალაქის არჩევნები დასრულდა. კომუნისტებმა გაიყვანეს 7 დეპუტატი და მაზრაში 46, ბურჟუაზიულ პარტიებმა კი—49.

მანჯურია.

ვერ გაიყვეს.

მოსკოვი. 26 მარტი. ჩიტიდან იტყობინებიან, რომ ხარბინის მონარქიული საბჭო დაიშალა შემოწირულებათა გაყოფის დროს.

ეგვიპტე.

უწესოება ეგვიპტეში.

მოსკოვი 26 მარტი. ჰავასის სააგენტო იტყობინება ახალი უწესოებათა შესახებ ეგვიპტეში. ეგვიპტის პოლიციისა და ინგლისის ქვეითა რაზმის შორის მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია 30 პოლიციელი.

ჩინეთი.

ბოიკოტი იაპონიის საქონელზე.

პარიზი 27 მარტი. შანხაიში ჩინეთის ვაჭრებმა ბოიკოტი გამოუცხადეს იაპონიის საქონელს იმ დრომდე, სანამ პორტ-არტური არ დაუბრუნდება ჩინეთს.

საბჭო რუსეთის ცნობის შესახებ

მოსკოვი. 27 მარტი. ნიუ-იორკში ქალთა საერთაშორისო თავისუფლებისა და ზავის ლიგის დელეგატებს, რომელთაც ამერიკის მთავრობას წარუდგინეს მოთხოვნილება საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ, ამერიკის გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა იუზმა განაცხადა: „ჩვენ არ გვინდა რუსეთის შინაური საქმეებში ჩარევა. ჩვენ არა თუ ვაღიარებთ რუსეთის ხალხის უფლებას აირჩიოს ისეთი პოლიტიკური წყობილება, როგორიც მას სურს, არამედ ვფიქრობთ კიდეც, რომ ასეთი ჩარევა უაზრო იქნებოდა. რუსეთის მომავალი მასზევეა დამოკიდებული. რუსეთს ესაჭიროება ვაჭრობა და მრეწველობა, მაგრამ ვაჭრობა-მრეწველობა არ იქმნება ფორმალური პოლიტიკური შეთანხმებით. პოლიტიკურ შეთანხმებას მხოლოდ შეუძლია გაადვილოს სამრეწველო და სავაჭრო შეთანხმება, მაგრამ არ ქმნის და არ აძლევს მას მტკიცე ბაზას. უცხოეთის ვალიუტის მონაწილეობისათვის რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარებაში, საჭიროა, რომ უცხოელები დარწმუნებული იყვნენ ამ ოპერაციის მიზან-შეწონილობაში ასეთი პირობების შექმნა დამოკიდებულია თვით რუსეთის მთავრობაზე. რომ ივაჭროს, რუსეთს ამისათვის უნდა ჰქონდეს საჭირო საშუალება, ის უნდა ქმნიდეს ღირებულებებს. სოფლის მეურნეობის მდგომარეობა რუსეთში გაუმჯობესდა. ეს იძლევა ერთგვარ იმედს, მაგრამ საერთოდ მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ შორსაა ნორმალურისაგან. მრეწველობა და ტრანსპორტი რუსეთში ცუდ მდგომარეობაშია. საბჭოთა კანონმდებლობაში შეტანილია ცვლილებები. მაგრამ ამ ცვლილებებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საჭირო რუსეთში ვაჭრობა-მრეწველობის განსამტკიცებლად. მთავარი პირობა ამა თუ იმ მთავრობის ცნობისათვის არის საკითხი, შეუძლია თუ არა მას თავისი საერთაშორისო ვალდებულებების მნიშვნელობა აქვს მთავრობის სიმტკიცესაც, მაგრამ მარტო ესეც არ არის საკმაო, პირველი რევოლიუციის შემდეგ. კერენსკის მთავრობას ჩვენ ვასესხეთ 187 მილიონი დოლარი, საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის 21 იანვრის დეკრეტში განაცხადა: „უცხოეთის ყველა სესხი უდავოთ და გამოუკლებლივ გაუქმებულათ ითვლება“-ო. ამ რიგად, რაც ჩვენ რევოლიუციამდი ვასესხეთ რუსეთს გერმანიის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად, გაუქმებული აღმოჩნდა. ჯერ მე არ გამიგონია თითქო საბჭოთა მთავრობა რაიმე ცვლილებების შეტანას აპირებდეს თავის დეკრეტში. მეორე პირობა საბჭოთა მთავრობის ცნობისათვის არის სხვა ქვეყნებში პროპაგანდის შეწყვეტა.

ფიქრები პარტიაზე

ნაციონალური კითხვა და პარტიული ახალგაზრდობის აღზრდა

ჯერ კიდევ გეტემ სთქვა, რომ ძველ ჭეშმარიტებას ხშირათ ხელახლა დაპყრობა სჭირდება. ეს შეეხება ცალკე პიროვნებებს, პარტიებს, მთელ კლასებს. ჩვენმა პარტიამ ხელახლა უნდა დაიპყრას თავისათვის, ე. ი. ხელახლა აწონ-დასწონოს და სერიოზულათ შეამოწმოს ცდის საშუალებით თავისი ნაციონალური პროგრამა.

ჩვენი პარტიის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა ხასიათდება ორი უმთავრესი ხაზით: დასავლეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ—კლასობრივი შინაარსით და აღმოსავლეთის ნაციონალურ—რევოლიუციონური მოძრაობით. ცხადია რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდობის და მთელი პარტიის აღზრდას (პარტიის აღზრდა ისე, როგორც ცალკე პიროვნების, არასოდეს არ სრულდება: სწავლა სიბერემდი არ მოგწყინდება) მთელ მსოფლიოში პროლეტარული მოძრაობის ფაქტიურ სვლასთან მტკიცე ცოცხალი ძაფებით დაკავშირებას. ამასთანავე ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ არა ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს პარტიის ორიენტაციის და მისი თვითაღზრდისათვის მის მიერ ნაციონალური კითხვის ნათლათ წარმოდგენას. ჩვენ ვლაპარაკობთ **არა ნაკლები**, და ვშიშობთ, რომ გამოვიწვევთ გაუგებრობას: დასავლეთში ხომ ლაპარაკია პროლეტარიატის ბრძოლაზე ხელისუფლებისათვის, აღმოსავლეთში კი—„მხოლოდ და მხოლოდ“ უმთავრესად გლეხური ერების უცხოელების ბატონობიდან განთავისუფლებაზე. რასაკვირველია, განჭვრეტილათ რომ ვიმსჯელოთ, ეს ორი მოძრაობა ეკუთვნის საზოგადოებრივი განვითარების სხვა და სხვა ეპოქებს, მაგრამ ისტორიულათ ერთი-მეორესთან არიან დაკავშირებული და მიმართული არიან ერთ უძლიერეს მტრის - იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და თუ ჩვენ ვერ დავაფასებთ ნაციონალურ-რევოლიუციონური ფაქტორის კოლოსალურ მნიშვნელობას, მის განუზომელ ამფეთქებელ ძალას, ჩვენ დასავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობას და მასთან ერთად ჩვენსასაც, მრავალი წლობით, თუ სამუდამოთ არა, შევაფერხებთ*).

რევოლიუციის მაგალითზე ჩვენ საკმაოთ მტკიცეთ შევითვისეთ მნიშვნელობა გლეხობასა და მუშათა კლასს შორის სწორი ურთიერთობისა, ე. ი. ისეთი ურთიერთობის, რომელიც შეეფერება მათ კლასობრივ ძალებს და მთელს მსოფლიოში რევოლიუციონური ძალების განვითარებას.

შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა „სმიჩკა“ (მჭიდრო კავშირი) ხშირათ ვხმარობთ და ცოდვა გამჟღავნებული სჯობს ხშირათ უადგილოთ. მაგრამ საკითხის საფუძველი ჩვენ მტკიცედ გვაქვს შეთვისებული. ტყუილათ კი არ ქვია ჩვენ მთავრობას მუშურ-გლეხური მთავრობა. თუ ჩვენი რევოლიუციის წარმატება დამოკიდებულია პროლეტარიატისა და გლეხობას შორის სწორ თანამშრომლობაზე, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის გლეხურ აღმოსავლეთთან სწორ თანამშრომლობაზე. რუსეთი უდიდესი საზღვარია პროლეტარულ დასავლეთის და გლეხურ აღმოსავლეთის და მასთან ერთად საცდელი მინდორიც.

თვით რუსეთში, მიუხედავათ ამისა, გლეხობასა და პროლეტარიატს შორის ურთიერთობის საკითხი სრულიად ერთნაირი არ არის. ერთი საქმეა—ველიკოროსიის პროლეტარიატის და ველიკოროსიის გლეხობის ურთიერთობა. აქ კითხვა დგას წმინდა კლასობრივი შინაარსით. მეორე საქმეა ურთიერთობა ველიკოროსიის პროლეტარიატისა, რომელიც პირველი ხმის მიმცემის როლს თამაშობს ჩვენს საკავშირო სახელმწიფოში, აზერბეიჯანის, თურქესტანის, საქართველოს ან უკრაინის გლეხობასთან. იქ, წინათ დაჩაგრულ განაპირა ქვეყნებში, ყველა სოციალური, კლასობრივი, ეკონომიური, ადმინისტრატიული და კულტურული კითხვები სწორი კუთხიდან დიდ გადახრას განიცდიან და იღებენ ნაციონალურ პრიზმაში. გაუგებრობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის (ამის მაგალითი ბევრი გვინახავს ამ წლების განმავლობაში) იქ აუცილებლად ნაციონალურ ხასიათს იღებენ. ეს საგრძნობლათ შეეხება წინათ დაჩაგრულ ერების პროლეტარიატსაც. იმას, რაც მოსკოვში და პეტროგრადში გაგებული იქნება როგორც უბრალო კონფლიქტი ცენტრსა და ადგილებს შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, ფეიქრებსა და მელითონეებს შორის, საქართველოში, აზერბეიჯანში და თვით უკრაინაშიც ადვილათ შეუძლია მიიღოს „დიდმპყრობელური“ მოსკოვსა და პატარა სუსტი ერების მოთხოვნილებებს შორის კონფლიქტის ხასიათი. ზოგიერთ შემთხვევებში ეს ასეც არის. სხვა შემთხვევებში შესაძლოა ასე გაიგონ. ჩვენი ამოცანა პირველ ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ასე არ იყოს და მეორე—რომ ასე არ მოეჩვენოთ. ეს ძლიერ დიდი ამოცანაა, რომელიც ჩვენ უნდა გადავჭრათ რაც არ უნდა დაგვიჯდეს კონსტიტუციონური, ადმინისტრატიული და პირველ ყოვლისა პარტიული მეთოდებით.

რაში მდგომარეობს გლეხობის მიმართ არა სწორი პოლიტიკის საფრთხე? იმაში, რომ გლეხობა შესაძლოა გამოვიდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელობიდან და მოექცეს ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ. მაგრამ ეს საფრთხე ათკეცდება, როგორც კი ლაპარაკი იწყება **თვითმპყრობელობის მიერ წინეთ და ჩაგრულ ჩამორჩენილი, პატარა ერების** გლეხობის მასებზე და არა ნაკლებათ ამ ქვეყნების ახალგაზრდა და მცირერიცხოვან პროლეტარიატზე. კლასების ნაციონალური კავშირი, იგივე „სმიჩკაა“, რომელიც ხშირად იჩენდა ისტორიაში თავს, როგორც მეტად მაგარი და ჩამთრევი ელემენტი. ქართველი მენშევიკები, უკრაინელი პეტლიურელები, სომეხი დაშნაკები და აზერბეიჯანელი მუსავატელები სას კვდილოთ არიან განწირული, თუ ჩვენ ყურადღებით და სიფრთხილით მოვეპყრობით იმ ერების ნაციონალურ მოთხოვნილებებს, რომლების მიმართ ისტორიულ უსამართლობაზე აღნიშნული პარტიები სპეკულიაციას ეწევიან; და წინააღმდეგ—წინათ დაჩაგრული ერების აბსოლიუტური ნდობის მოპოების დიდი ისტორიული მნიშვნელობის არ გაგება ან არა საკმაოთ გაგება, აუცილებლად **ნაციონალურ-ოპოზიციონურ** ხასიათს მისცემს მათ ყველა მოთხოვნილებებს, ყოველგვარ უკმაყოფილებას თუ უსიამოვნებას, ამ საფუძველზე კი ნაციონალისტური იდეოლოგია შექმნის, ანუ უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, აღადგენს მტკიცე „სმიჩკას“ მშრომელთა და ბურჟუაზიის შორის, რომელიც სავსებით იქნება მიმართული რევოლიუციის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის დიქტატურამ პირველათ ისტორიაში გადაგვიშალა ნაციონალური კითხვის სწორათ გადაჭრის შესაძლებლობა. საბჭოთა წყობილება ამისათვის ქმნის საკმაოთ მოხერხებულ და ელასტიურ ჩარჩოებს, რომელსაც შეუძლია იმავ დროს გამოხატულება მისცეს როგორც ცენტრისტიულ ტენდენციებს რევოლიუციისა, რომელიც ალყაშემორტყმულია აუარებელ და შეურიგებელ მტრების მიერ, ისე სოციალისტური მეურნეობის გეგმის მოთხოვნილებებსაც მაგრამ თავის მოტყუება იქნებოდა, რომ გვეფიქრა თითქო ნაციონალური კითხვა უკვე გადავჭერით ჩვენ. ხშირათ ასეთი თვითკმაყოფილების ქვეშ (ამას კი ადგილი აქვს ჩვენი პარტიის რიგებშიც იმალება დიდმპყრობელური ნაციონალიზმი, რომელიც თვლემს და არ უყვარს როცა მას აღვიძებენ. ნაციონალური კითხვის „გადაჭრა“ შეიძლება მხოლოდ ყველა ამ ერებისათვის მსოფლიო კულტურასთან შეუვიწროებლათ კავშირის იმ ენაზე დაჭერის შესაძლებლობის უზრუნველყოფით რომელიც მისთვის გასაგებია, რომელსაც ის მშობლიურ ენათ თვლის. ეს მოითხოვს ჩვენი კავშირის დიდ მატერიალური და კულტურულ სიმაღლეს—აქამდი კი ძლიერ შორსაა. ამ სიმაღლის ვადის ვარაუდით შემცირება ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ: ვუჩვენოთ და დაუმტკიცოთ არა საპროგრამო განცხადებებით, არამედ ყოველდღიურ სახელმწიფოებრივ მუშაობით ყველა ჩამორჩენილ, სუსტ და პატარა ერებს, რომელთაც წინათ სჩაგრავდა თვითმპყრობელობა, რომ თუ ძლიერ მნიშვნელოვანი და სერიოზული მათი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია, ამის მიზეზია ობიექტიური პირობები, რომელიც საერთოა მთელი კავშირისათვის და არა უყურადღებობა და დიდმპყრობელური ტენდენციები. და ეს ამოცანა—მცირე და სუსტი ერების გამოცდილებით დადასტურებული ნდობის მოპოება—უპირველესი მნიშვნელობის პარტიული ამოცანაა. ყველაზე უფრო ღრმა და ნათელი ხაზი საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მასების შეგრძნებაში გაავლო სამოქალაქო ომმა. ამ ომის მიზნებში და მოტივებში ჩვენი პარტიის მხარეზე არ ყოფილა არც ერთი ატომი ნაციონალიზმისა ან „იმპერიალიზმისა“. ამ ომს თავისი შინაბუნებით რევოლიუციონურ კლასობრივი ხასიათი ჰქონდა და ამ სახით მოედო მეფის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიას, მხოლოდ ხანდახან, აუცილებლობით, გამოსცილდებოდა ძველ საზღვრებს.

სამოქალაქო ომი იხლართებოდა სხვა და სხვა მიმართულებით ნაციონალურ ჯგუფებთან და ხშირათ მძიმეთ სცემდა ახლანდელი კავშირის ზოგიერთ ნაწილებს. სასტიკი ომის დროს რევოლიუციის გადასარჩენათ ომის კანონები ბატონობდენ ყველა სხვა კანონებზე. ხიდები ინგრეოდა იმისდა დამოუკიდებლათ, თუ რა ზიანი მოჰქონდა ამას მეურნეობისათვის. შტაბები და სამხედრო ნაწილები იჭერდენ შენობებს, საიდანაც იდევნებოდენ მოსწავლეები და მასწავლებლები მკაცრ სამხედრო რეჟიმს არ შეეძლო მაგრათ არ დაერტყა კულტურული ცხოვრებისათვის საერთოდ, და ნაციონალურისათვის კერძოთ.

ამას ემატებოდა კიდევ ის, რომ ბევრ ადგილებში წითელ-არმიელთა ნაწილების ჩამორჩენილობა, კომშემადგენლობის ცალკე ელემენტების ბოროტი ნება და პოლიტიკურ მუშაკების სუსტი ენერგია ხელს უწყობდენ ნაციონალური გრძნობების და სულიერი განწყობილების უყურადღებოთ დატოვებას და ხშირათ ფეხქვეშ გათელვას. საერთოდ კი სამოქალაქო ომს, რომელიც სისხლით აკავშირებდა ყველა ერების მშრომელებს, თავისი შინაბუნებით არ შეეძლო არ გამხდარიყო ყოველდღიურ ურთიერთობის და თანამშრომლობის სკოლათ არა ფორმალური, „კონსტიტუციონური“, არამედ **პატარა, სუსტი ერების მოქალაქეთა წინათ გაბატონებულ ერებთან ერთად ყველა იმ უფლებებით ფაქტიური, მატერიალური და ზნეობრივი თანასწორობის საფუძველზე სარგებლობით, რომელიც შეუძლია უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში ყოფნამ.** ნაციონალური შეურაცყოფის გრძნობა პატარა, სუსტ ერებში ათ და ას წლობით გროვდებოდა. და ამ მემკვიდრეობას, ისე როგორც ქალის დამონებულ მდგომარეობას, ვერ მოვსპობთ მარტო დეკლარაციებით, რა გინდ გულწრფელი და თუნდაც საკანონმდებლო ხასიათის იყოს ის. საჭიროა, ქალმა ცხოვრებაში, ყოველდღიურ გამოცდილებით იგრძნოს, რომ მის გზაზე არ არის არავითარი დაბრკოლება და „ღმობიერების“ ქილო, არამედ წინააღმდეგ, ის სარგებლობს არა მარტო უფლებებით, არამედ ძმური თანაგრძნობითაც, რომელიც მიმართულია იქით, რომ მას უმაღლეს საფეხურზე ასვლა გაუადვილდეს. საჭიროა პატარა ერებმა იგრძნოს, რომ წინათ „თვითმპყრობელ“ ერის შეგნებაში მოხდა საბოლოო და რადიკალური გარდატეხა და რომ ყველა უსამართლობის, პრაქტიკული და მორალური თანასწორობის დავიწყება „თვითმპყრობელი“ ერი, ე. ი. მმართველი კლასი თვით სჯის, როგორც შტრეიკბრეხერობას და ღალატს.

სწორეთ ახლა, როცა დაიწყო ორგანიული მუშაობა, როგორც სამეურნეო, ისე კულტურული, პატარა ერები ფრთხილის ყურადღებით მოეპყრობიან იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს მათზე კავშირის საბჭოთა ხელისუფლების საერთო სამეურნეო, პოლიტიკური, იურიდიული და კულტურული ღონისძიებანი, ე. ი. პირველ რიგში რა ხაზს ატარებს ამ კითხვებში ჩვენი პარტია.

ამ სფეროში დაიწყებენ საჭილოს ძებნას ჩვენი მტრები. როგორ გააფთრებულ საერთაშორისო კამპანიას აწარმოებდა და აწარმოებს სოციალ-დემოკრატია საქართველოს გარშემო, მენშევიკების საქართველოდან განდევნისათვის საქართველოს ერის დაპყრობის ხასიათის მიცემით! ჩვენ ვამტკიცებდით, რომ საქართველოს გაწმენდა იმპერიალიზმის მენშევიკური აგენტებისაგან იყო მთელი ჩვენი რევოლიუციის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ პროლეტარული რევოლიუცია თავისი მიზნებით და შედეგებით სავსებით შეესაბამება მცირე და დაჩაგრული ერების ინტერესებს. მაგრამ ცოცხალ, მებრძოლ და დაუმთავრებელ რევოლიუციას შეუძლია მიაყენოს და უნებლიეთ აყენებს ტკივილს ნაციონალურ ინტერესებს და გრძნობებს. რომ წითელი ჯარის საქართველოში აჯანყებულთა დასახმარებლად შესვლას საერთაშორისო მენშევიზმის შარლატანები ხსნიან საბჭოთა ხელისუფლების „დაპყრობითი“ პოლიტიკით, მაგრამ რომ ამის ასე გაგება შეეძლო და კიდეც ასე გაიგო საქართველოს გლეხების და თვით მუშების ერთმა ნაწილმა—ეს უდავოა. ამ შეხედულებასთან და სულიერ განწყობილებასთან ბრძოლის დროს სრულიად არ არის საკმაო დამტკიცება, თუნდაც საბუთებით ხელში, რომ საქართველოს მენშევიკები შეგნებულად უხსნიდენ მსოფლიო იმპერიალიზმს რევოლიუციისათვის ყველაზე საშიშ გზებს, რადგან ის, ქართველ მშრომელთა ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი, რომელიც უნდობლათ უცქერის წითელ ჯარს. კიდევ ვერ შესჩვევია რევოლიუციონურ მოვლენების ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გაგებას. ერთად ერთი დამაჯერებელი იქნება ჩვენი ისეთი პოლიტიკა, რომელიც საქმით დაუმტკიცებს ქართველ გლეხს, რომ მისი ნაციონალურ-კულტურული ინტერესები, მისი ნაციონალური გრძნობები, მისი ნაციონალური თავმოყვარეობა, რომელსაც ასე ხშირად შეურაცყოფდენ წარსულში, კმაყოფილდება ისე, რამდენათაც ამის შესაძლებლობას ობიექტიური პირობები იძლევა.

ადვილათ შესაძლოა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვიდგეთ ნაციონალური მგრძნობიარობის და იჭვიანობის ერთგვარად გაძლიერების წინაშე იმ ერებში, რომელთაც სჩაგრავდენ წინათ და რომლებიც მოითხოვენ,—უფლებაც აქვთ მოითხოვონ მომავალში როგორიც არ იყოს უთანასწორობისაგან უზრუნველყოფას. ამ ნიადაგზე ადვილია ნაციონალისტური ტენდენციების (უმთავრესად თავდაცვითი ნაციონალისტურის) შეჭრა და გაძლიერება პატარა ერების თვით კომუნისტების წრეებშიაც. მაგრამ ასეთ მოვლენებს არა დამოუკიდებელი, არამედ სიმპტომატიური ხასიათი აქვთ. როგორც ანარქო-ავანტიურისტული ტენდენციები მუშათა წრეებში ვენებელია ხელმძღვანელ მუშათა ორგანიზაციების ოპორტუნისტული ხასიათის, ისე ნაციონალისტური ტენდენციები პატარა ერების კომუნისტებში ნიშანია იმის, რომ „დიდმპყრობელური“ ცოდვები საერთო სახელმწიფო აპარატში და თვით პარტიის ზოგიერთ კუნჭულებში საკმ ბით აღმოფხვრილი არ არის.

---

*) დასავლეთ ევროპაშიც ნაციონალური კითხვა ითამაშებს უდიდეს როლს რევოლიუციაში. საკმაოა გავიხსენოთ პოლონეთი, რუმინეთი, ბალკანეთი და მთელი ცენტრალური ევროპა. მაგრამ ტექსტში ჩვენ ვლაპარაკობთ განვითარების მთავარ ხაზზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცდები მიტოვებულია. სამწუხაროდ ეს ასე არ არის, ჩვენ გვსურს დავეხმაროთ რუსეთს, გვსურს დავამყაროთ ზავი მიწაზე, მოვიშოროთ შურიანობისა და მტრობის ატმოსფერა და მივაღწიოთ შეთანხმებას ყველა ერებს შორის. მაგრამ მსოფლიო წესრიგი, რომლისკენაც ჩვენ მისწრაფვით, არ უნდა იდგეს ბოლშევიკების პროპაგანდის საფრთხის ქვეშ. ამ წესრიგით დაცული უნდა იქნეს ვალდებულებების კეთილსინდისიერათ შესრულების პრინციპი, რომელიც საფუძველია საერთაშორისო ურთიერთობის.

რუსეთი მოითხოვს თავის გემებს

მოსკოვი 27 მარტი. პუანკარე ნოტაში რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარისადმი იტყობინება, რომ ვრანგელის მიერ ბიზერტში (ჩრდ. აფრიკა) გატაცებულ რუსეთის გემებს საფრანგეთის მთავრობა სთვლის როგორც რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილებას და გადასცემს მათ ფორმალურად—ცნობილ მთავრობას. საფრანგეთის მიერ ზოგიერთ დამხმარე გემების გაყიდვას მიზნად აქვს დაფაროს ხსენებულ გემების შეკეთების და დაცვის ხარჯები. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი საპასუხო ნოტაში აღნიშნავს, რომ ესკადრას რუსეთის კუთვნილებათ ცნობის ფაქტიდან უნდა გამომდინარეობდეს მისი რუსეთის მთავრობისათვის გადაცემა. რუსეთის ხალხს არ შეუძლია მიიღოს თავის თავზე საფრანგეთის ყოფაქცევით გამოწვეული ხარჯები და დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნდეს გემები რუსეთს იმ სახით, როგორითაც ისინი გავიდნენ რუსეთის ნავთსადგურებიდან.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დანიის დელეგატების ჩამოსვლა.

მოსკოვი. 24 მარტი. მოსკოვში, 22 მარტს, ჩამოვიდა დანიის დელეგაცია რუსეთს და დანიის შორის ხელშეკრულების დადების მიზნით.

სახელმწიფო ვაჭრობის პასუხისმგებელ მუშაკთა პროცესი.

მოსკოვი 24 მარტი მოსკოვში, 21 მარტს, უმაღლეს სასამართლოში დაიწყო სახელმწიფო ვაჭრობის პასუხისმგებელ მუშაკთა საქმის გარჩევა, რომელთაც ბრალად ედება სამსახურის ბოროტად გამოყენება და მეურნეობისადმი უყურადღებობა. პროცესზე ირკვევა, რომ სახელმწიფო ვაჭრობის მუშაობაში სუფევდა უწესობა და ქაოსი.

ლიტველ კომუნისტების ჩამოსვლა.

მოსკოვი. 24 მარტი. ამ დღეებში ლიტვის ციხეებიდან იგზავნება რუსეთში ლიტვის კომუნისტების ჯგუფი 23 კაცის რაოდენობით.

შეღავათი მოწაფეებისათვის.

მოსკოვი. 24 მარტი. გზათა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, მოწაფეებს საგაზაფხულო და სადღესასწაულო არდადეგებზე მოგზაურობისათვის ეძლევათ შეღავათები. შეღავათი ვრცელდება 20 მარტიდან 30 აპრილამდე.

წაქეზება აღმშენებლობისათვის.

მოსკოვი. 24 მარტი. კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე შეინსმა მოხსენებაში საბინაო პოლიტიკის შესახებ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სახლების აღმშენებლობის განვითარებისათვის აუცილებელია გაფართოვდეს აღმშენებლების უფლებები საცხოვრებელ მოედნებით სარგებლობაზე.

მომხსენებლის აზრით, აუცილებელია შემოღებული იქნეს წესი, რომლითაც მოქალაქეებს უფლება ექნებათ დაუბრკოლებლად ისარგებლონ. შენობებით კანონიერი ფორმების დაცვის ფარგლებში. პროფკავშირებმა უნდა შესძლონ მუშების ბინებით დაკმაყოფილება ამ საკითხის კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანის გზით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათომი

„სოსიფროსის საქმე“. დამთავრდა „სოსიფროსის“ წინააღმდეგ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ 111.135 ოქროს მანეთის გადახდევინების შესახებ აღძრული საჩივარის გარჩევა. აღნიშნული თანხა ხსენებულ ფირმას უნდა გადაეხადა სალერბო გადასახადის სახ. ით. სასამართლოში გამოირკვა, რომ ფინსახკომის ანგარიში სწორი არ არის და „სოსიფროსმა“ უნდა გადაიხადოს არა 111.135 მანეთი, არამედ უფრო მეტი, 7 დღის მსჯელობის შემდეგ სასამართლომ მიუსაჯა „სოსიფროსს“ 259.283 ოქროს მანეთის გადახდა და არა 111,135 მანეთის, როგორც ფინსახკომი მოითხოვდა.

აზერბეიჯანი

მინების ქარხნები. მინების ქარხნების ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიულია. ქიმიკოსთა კავშირმა მიმართა კომ. პარ. ბაქოს ცენტრალურ კომიტეტს და აზერბეიჯანის პროფეს. კავშირთა საბჭოს და სთხოვა სამეურნეო ორგანოებთან განიხილონ მინების ქარხნების არსებობის საკითხი, ამასთან ერთად კავშირი აცხადებს პროტესტს აზერბეიჯანის ნავთის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახული აქვს მინების ქარხნების გახსნა. პროტესტი ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ არსებული მინის ქარხნები ჯეროვნულათ მომზადებულია და საკმარისია იმისთვის, რომ სავსებით დააკმაყოფილონ ნავთის მრეწველობის მოთხოვნილება.

სომხეთი

ერევანი 26 მარტი.

ოვანეს თუმანიანის გარდაცვალება. სომხეთის ცნობილ პოეტის ოვანეს თუმანიანის მოსკოვში გარდაცვალების ცნობამ მოახდინა მძიმე შთაბეჭდილება მუშა-გლეხობისა და მშრომელთა ორგანიზაციებს შორის.

მეაბრეშუმეთა ყრილობა

(8 სხდომა)

კამათი მეაბრეშუმეობის საქმეში საერთო ეკონომიური პოლიტიკური საკითხის გარშემო.

ამხ. ივანოვი ფიქრობს, რომ ნედლი აბრეშუმის მწარმოებელთათვის უფრო ხელსაყრელია და სასურველიც, რომ აბრეშუმი გაასაღონ არა დასავლეთ ევროპაში, არამედ მოსკოვში. ბაჟების დაწესება აბრეშუმის პარკის გატანაზე უეჭველია შეამცირებს ჩვენი პარკის ღირებულებას და მეაბრეშუმეთა შემოსავალსაც. მაშასადამე პარკზე გატანის ბაჟების და სხვა გადასახადების დაწესება დაუშვებელია. ამხ. ჩომახიძე აღნიშნავს, რომ ყრილობაზე სრულიად არ იყო დასმული საკითხი ადგილობრივ აბრეშუმის დამმუშავებელ მრეწველობის განვითარების შესახებ, ამავე დროს ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ამ ჟამად ცენტრში შემჩნეულია გადამმუშავებელ მრეწველობის აბრეშუმის მომყვან ცენტრებთან მიმაგრების ტენდენცია. ასეთი პოლიტიკა სასურველია გატარებულ იქნას აბრეშუმის საქმეში.

ამხ. გაჯინსკი შეეხო სპეციალურად საკითხს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის შესახებ.

ამხ. ივანიანი ილაშქრებს მრეწველობის რომელიმე დარგის განსაკუთრებული მფარველობის წინააღმდეგ. საბჭოთა მეურნეობის საფუძველს შეადგენს მრეწველობა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიურმა პოლიტიკამ დაივიწყოს აბრეშუმის დამზადების მრეწველობის ინტერესები: ეს პოლიტიკა უნდა იქნას მიმართული მეაბრეშუმეობის ინტერესების დაცვისაკენ. რაც შეეხება მრეწველობისათვის ნედლი მასალის მიწოდებას, და ექსპორტს, თავისუფალი ნედლი მასალის მარაგი უნდა იქნას დაუბრკოლებლად გაზიდული საბჭოთა ბაზარზე და განთავისუფლდეს ყოველგვარ ამკრძალავ ზომებისაგან.

ამხ. ლინდე ფიქრობს, რომ სახელმწიფოებრივი აბრეშუმის გადამმუშავებელი მრეწველობის ნედლი მასალით უზრუნველ საყოფად უნდა იქნას გამოყოფილი ნედლი მასალის საკმაო რაოდენობა, აგრეთვე საჭიროა მრეწველობის დასაცავათ დაწესებულ იქნას შემოზიდვის ბაჟები.

ამხ. ნერსესოვი წინადადებას იძლევა აკრძალულ იქნას საზღვარ-გარეთ აბრეშუმის გატანა, სანამ სავსებით არ იქნება დაკმაყოფილებული ფედერაციის საჭიროებანი.

ამხ. სმირნოვი ბაჟების და ექსპორტის საკითხში ანვითარებს თავის აზრს სტატისტიკური ცნობებით, და აღნიშნავს, რომ ბაჟების სისტემა უნდა იქნას დაცული, ხოლო ექსპორტი სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს.

ამხ. ტიმოფეევი ეხება რა ნედლი მასალის დამზადების საკითხს შინაური მრეწველობისათვის, ფიქრობს, რომ ეს საკითხი უნდა იქნას გადაჭრილი დამზადების გზით და არა ექსპორტის აკრძალვით, რაც იწვევს ვაჭრობის ნორმალურ პირობების დარღვევას.

ამხ. გრიგორიანი, აყენებს შემდეგ დებულებებს: 1) ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ სასოფლო მეურნეობა დაცულია უფრო მეტად, ვიდრე ქალაქის ინდუსტრია, მეაბრეშუმეობა უნდა წავიდეს დათმობაზე აბრეშუმის გადამმუშავებელი მრეწველობის მიმართ. 2) არ შეიძლება ნებადართულ იქნას აბრეშუმის პარკის არა საბჭოთა ბაზრებზე თავისუფალი გატანა, რადგან უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვიზრუნოთ შინაურ ფაბრიკებზე, 3) ზედმეტი ნედლეულის გატანა რა თქმა უნდა დასაშვებია, მაგრამ იგი უნდა იქნეს მოწესრიგებული. ბაჟები უნდა იქნას შემცირებული, მაგრამ ამ ბაჟების რაოდენობა უნდა იქნას შეთანხმებული აბრეშუმის დამმუშავებელ მრეწველობის ინტერესებთან.

ამხ. ქუთათელაძე აცხადებს, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს არავითარი ბაჟები და გადასახადები აბრეშუმზე. ექსპორტ-იმპორტი თავისუფალია და ასეთ პირობებში მეაბრეშუმეობა წარმატებით ვითარდება. მაგ. იაპონია, იტალია და საფრანგეთის სახელმწიფოებრივი ორგანოები უნდა გამოვიდნენ ბაზარზე თანასწორ უფლებიანი დამზადებელთა სახით. საჭიროა ტარიფების შემცირება ნედლსა და გამხმარ პარკზე, საჭიროა აბრეშუმის თესლის რიგს გარეშე გადატანა ჩქარი მატარებლებით. საჭიროა აბრეშუმის ამოხვევი ქარხნების დაარსება და სხვა.

ამით თავდება კამათი. ყრილობამ გადასწყვიტა თავის რეზოლიუციას საფუძვლად დაუდვას ამხ. ივანიანის პროექტი.

პარტიული ცხოვრება

საჭიროა წინასწარი რევიზია

(რკინის გზათა სამმართველოს კომუჯრედში)

23 მარტს შესდგა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ კომუჯრედის ღია სხდომა, რომელზედაც სხვა საკითხების განხილვის გარდა მოსმენილ იქნა სამმართველოსთან არსებულ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რკინის გზის განყოფილების მოხსენება თავის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ჰანიშვილმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ სხვადასხვა დარგებში წარმოებულ ყველა რევიზიების შესახებ და საერთოდ სთქვა, რომ აღრიცხვა იარაღების, ინვენტარის და ფულების იმყოფებოდა დიდ ქაოტიურ მდგომარეობაში.

შესავალი და გასავალი არ ეთანხმებიან დოკუმენტებს ეს გარემოება აიხსნება მითი, რომ დღიდან გასაბჭოებისა აქ ამიერ-კავკასიაში, არ ყოფილა წარმოებული არავითარი სწორი აღრიცხვა, რის შედეგიც არის მრავალი ბოროტმოქმედებანი, რომლებსაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ ჟამად აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს კიდევ შეიძლება აიხსნას წინასწარ რევიზიის გაუქმებით.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს შეკითხვების მთელი რიგი რომელზედაც მან მისცა დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტებები.

კამათში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კომუჯრედის წევრებმა და დასასრულ კომუჯრედმა ინსპექციის მუშაობის შესახებ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც კომუჯრედი დამაკმაყოფილებლად სთვლის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას და აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია რევიზიის დროს აღმოჩენილ ყოველგვარ დეფექტების და ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად სათანადო უმაღლეს ორგანოს საშუალებით, კანონმდებლობითი წესით, შემოღებულ იქნას წინასწარი რევიზია.

ინფ. კორ. ვასილიევი.

საფრთხე ამ მიმართულებით უფრო მეტია, რომ პარტიის ახალი თაობა პოლიტიკურათ ნაციონალურ კითხვას ჯერ არ შეჯახებია. მეფის რუსეთში ეს კითხვა მუდამ იდგა რევოლიუციონური პარტიის წინაშე ნაციონალური დაჩაგვრის სახით და ძველდღიურ აგიტაციის დროს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. „მოხუცებმა“ ყველაფერი ეს გაიარეს. (თუმცა აქაც აქვს ადგილი რეციდივებს). ახალგაზრდობა კი პოლიტიკურათ გაიზარდა ქვეყანაში, სადაც არ არის ნაციონალური ჩაგვრა, მან იცოდა რესპუბლიკის თავდაცვის საკითხები, უდგა სამეურნეო კითხვებსაც, ნაციონალური კითხვა არც დამდგარა მის წინაშე თავისი მნიშვნელობით. ...ტომ მას ხშირათ ჰგონია თითქოს ეს კითხვას ის უკვე მორჩა ისე, როგორც რელიგიას. განა არის აქ რაიმე საფიქრალი და სალაპარაკო?

თვით პატარა და ჩამორჩენილ ერებშიაც ვამჩნევთ ჩვენ ხშირათ ნაციონალური საკითხისადმი არა საკმაო ყურადღებას მეტად რევოლიუციონურ და მათ რიცხვში პროლეტარულ ელემენტების მხრივ შეუდგენ რა რუსეთის კომუნისტურ პარტიას და გააფართოვეს თავისი ჰორიზონტი, ახალგაზრდა, გულწრფელი და დაუდეგარი რევოლიუციონერები ნაციონალურ კითხვას ფეხზე... არა როგორც ამოცანას, რომელიც გადაჭრა ესაჭიროება, არამედ როგორც უბრალო დაბრკოლებას რომელზედაც უნდა გადახტნენ ... გარეშეა, რომ საკუთარ, მშობლიურ ნაციონალიზმთან ბრძოლა შეადგენს მოწინავე რევოლიუციონური ელემენტების მნიშვნელოვან ამოცანას. მაგრამ ძველი ჩაგვრის ატმოსფეროთ გაჟღენთილ პირობებში, ამ ბრძოლას მოთმენითი-პროპაგანდისტული ხასიათი უნდა ქონდეს და ...ხდებოდეს არანაციონალური მოთხოვნილებების დავიწყებას, არამედ ...ველობით მათ დაკმაყოფილე... [illegible] ...ის იქნევენ ნაციონალურ კითხვას ... ზოგიერთი უფროსი ამხანაგებიც იმ საბუთით, რომ ეს დროებითი „დათმობაა“ ისე, როგორც ჩვენი „ნაროდნიკული“ პროგრამა ან ახალი ეკონომიური პოლიტიკა. რა უყოთ, ამ შედარების მიღება პირობით შეიძლება. რასაკვირველია უფრო ადვილი იქნებოდა სოციალიზმის დამყარება, რომ საჭირო არ იყოს ნაციონალური „დათმობები“, ე. ი. რომ წარსულში ადგილი არ ქონოდა ნაციონალურ ჩაგვრას, აწმყოში კი—ენისა და ნაციონალური კულტურის სხვადასხვაობას. ასევე ადვილი იქნებოდა სოციალიზმის დამყარება, რომ მრავალმილიონიანი გლეხობა არ გვყავდეს, შეიძლება უფრო შორს წავიდეთ და ვთქვათ: პროლეტარული რევოლიუციისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ აზიაც კლასობრივი ბრძოლის ისეთ კაპიტალისტურ არენას წარმოადგენდეს, როგორსაც ევროპა, მაგრამ საკითხის ასე დასმა სრულიად უსიცოცხლოა. ხშირათ ასეთი უყურადღებობა ან ზიზღი მოპყრობა ნაციონალურ კითხვისადმი ფარავს სწორეთ ასეთ უსიცოცხლო, რაციონალისტურ მოპყრობას ისტორიისადმი. ჩვენი პარტიის უძლიერესი რევოლიუციონური რეალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტებს რევოლიუციის ინტერესებში ვიღებთ და ვალაგებთ ისე, როგორც არის სინამდვილეში.

ოქტომბრის წინ ჩვენ რომ მხედველობიდან გაგვეშვა გლეხობა, რასაკვირველია უფრო შორს ვიქნებოდით სოციალიზმიდან და ვერ მივიდოდით საბჭოთა ხელისუფლებამდი. გლეხობის მნიშვნელობა ჩვენმა პარტიამ გაიგო ოქტომბრის შემდეგ წლებში: „მოხუცებმა“ პრაქტიკულათ გაიგეს ის, რაც იცოდენ თეორიულათ, ახალგაზრდობა კი, რომელიც პრაქტიკულად დაეჯახა ამ კითხვას, პრაქტიკულად ერკვევა მასში. **ნაციონალური კითხვის სფეროში პარტია საჭიროებს განმეორებითი კურსს, ახალგაზრდობა კი— დაწყებითს.**

ეს კურსი თავის დროზე და მტკიცე პროგრამით უნდა იქნეს გავლილი: რადგან ის, ვინც ივიწყებს ნაციონალურ კითხვას, დაიხრჩობა მასში.

ნაციონალური მოთხოვნილებებისადმი ყურადღებით მოპყრობა სრულად არ ნიშნავს სამეურნეო სეპარატიზმისათვის ხელის შეწყობას, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ადგილობრივი („ნაციონალური“) ბიუროკრატიისათვის და არა ხალხის მასებისათვის. თავისთავად ცხადია. რომ კავშირის რკინის გზების ცენტრალისტური მმართველობის შემოღება სრულიად არ ნიშნავს რკინის გზებზე ნაციონალური ენით სარგებლობის განდევნას. და ამიტომ ეკონომიური მოთხოვნილებების და პროგრამების განხილვის დროს დიდი გარჩევაა საჭირო ადმინისტრაციის მაღალი წრეების წმინდა ბიუროკრატიულ „ადგილობრივ“ პრეტენზიებს შორის, რომელიც ხშირათ ერთის მხრით გამრუსებელი ხასიათისაა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და სეპარატისტულია ცენტრის მიმართ, და ხალხის მასების ნამდვილ, სასიცოცხლო და ნიშნობრივ მოთხოვნილებებს შორის.

უდიდესი დამოუკიდებლობა ნაციონალურ-კულტურულ სფეროში სრულიად შეიძლება პრინციპში შეთავსებული იქნას სამეურნეო ცენტრალიზაციასთან, რამდენათაც ეს გამოწვეულია ბუნებრივ და საწარმოო-ტეხნიკურ პირობებით. მაგრამ სახელმწიფოებრივი შეთანხმება ცხოვრებაში სამეურნეო ცენტრალიზაციის ნაციონალურ დეცენტრალიზაციასთან—პრაქტიკულად მეტად დიდი და რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს სიფრთხილეს, ყურადღებას და გამძლეობას. ეჭვს გარეშეა, რომ ერებმა, რომლებიც განიცდიდენ ჩაგვრას და ახლაც ატარებენ ამის ნიშნებს, შესაძლოა და მოითხოვონ დაიცვან ავტონომია ისეთ დარგებშიც, რომელთა ცენტრალისტურად მოწყობა შეიძლებოდა მათი დამოუკიდებლობისათვის არა ზიანის, არამედ უდიდესი ადმინისტრატიული და სამეურნეო სარგებლობის მოტანით. მაგრამ ასეთ საკამათო საკითხებში წინასწარ საჭიროა გაკეთდეს ყველაფერი იმისთვის, რომ თუ გინდ მარტო ხელმძღვანელი წრეები პატარა ან ჩამორჩენილ ერისა დარწმუნდენ ცენტრალისტური მეურნეობის უპირატესობაში და დაეხმარონ ხალხის მასებს, გაიგონ ეს ზომა არა როგორც ცენტრის ძალდატანება, არამედ როგორც მათი ინტერესების უზრუნველმყოფი, შეთანხმებით მატარებელი ღონისძიება. პოლიტიკაში არ შეიძლება რაციონალურად აზროვნება, მით უფრო დაუშვებელია ის ნაციონალურ პოლიტიკაში.

⁂

დასასრულ კიდევ ორიოდე სიტყვა. ამას წინათ ერთი ხანში შესულ კომუნისტიდან მე გავიგონე თითქოს ნაციონალური კითხვის რევოლიუციის პროცესში მნიშვნელოვან საკითხათ წამოყენება არის,—სირცხვილია ამის თქმა, მაგრამ დამალვაც შეუძლებელია, მენშევიზმი და ლიბერალიზმი. აი სწორეთ ეს არის ნივთების და წარმოდგენის ყირამალა დაყენება! მენშევიზმის პოზიცია ნაციონალ საკითხში ასეთია: სანამ მენშევიზმი ოპოზიციაშია, ის ნაციონალურ-სანტიმენტალურია და ვერ ბედავს საკითხის პირდაპირ დასმას, ე. ი. დაჩაგრულთა აჯანყებისაკენ მოწოდებას, მაგრამ როცა ნაციონალური ბურჟუაზია ან თვით მენშევიზმი ხელისუფლებას უდგას სათავეში, ის აღიჭურვება ბურჟუაზიის მიერ დაკისრებული დიდ მპყრობელური მისიის შეგნებით და განაგრძობს ცენტრალისტურ დაჩაგვრის პოლიტიკას და „ამხილებს“ დაჩაგრულ ერების ნაციონალიზმს. სწორედ ბოლშევიზმმა გამოიჩინა თავისი რევოლიუციონური შორსმჭვრეტელობა მით, რომ გაიგო ნაციონალური ფაქტორის რევოლიუციონური მნიშვნელობა. სწორეთ ამ მიმართულებით და ხასიათით განაგრძობს მომავალში ბოლშევიზმი ახალგაზრდობის აღზრდას.

ლ. ტროცკი.

1923 წლის 19 მარტი.

მუშათა ცხოვრება

დაუშვებელი მოვლენა

(აღმასკომის პრეზიდიუმის საყურადღებოდ).

პეტრე დიდის ქუჩაზე მოთავსებულია ვებერთელა საბჭოთა სახლი № 10, სადაც სცხოვრობენ მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურენი, უმეტესად კი დაბალ თანამდებობისა. არავითარი მოწყობილობა სახლს არ ჰქონდა, როდესაც აღმასკომის ორდერებით ჩვენ აქ ჩავსახლდით. სამზარეულოები და ვანები ეხლაც არ მოქმედებენ და მით ვერავინ სარგებლობს, წყლის მილები ყველგან დახეთქილი იყო და კრანები გაფუჭებული. ეზოში და შენობის პირველ ნახევარში ეყარა აუარებელი ნაგავი და საპინძური. ფანჯრების და ბალკონების ბალკები ყველგან გაფუჭებული იყო. სახურავიდან წვიმა ჩამოგვდიოდა. ამ მიზეზების გამო იძულებული გავხდით ჩვენი ღარიბი ჯიბეებიდან ამოგვეღო შეძლებული თანხა სახლის და წყლის მილებს შესაკეთებლათ და ვცდილობდით, რომ საბჭოთა სახლი სანიტარულ მდგომარეობაში მოგვეყვანა, რაც კიდევაც უკვე მოვიყვანეთ სისრულეში. მაგრამ ვაი ჩვენს უბედურებას! ჩვენ გვეგონა, ქალაქის სახლის შეკეთებისათვის მადლობას მივიღებდით, მაგრამ მადლობის მაგივრად წყალსადენის გამგემ მოქ. დიასამიძემ თავზე ცეცხლი დაგვაყარა. ამ უკანასკნელის განკარგულებით უკვე 6 დღეა, რაც წყალი დაგვიკეტეს და არც კი აპირობენ მის მოცემას.

არ ვიცით, რაშია საქმე, ვიცით მხოლოდ, რომ ჩვენ სახლზე გაწერილია იანვრის და თებერვლის თვის წყლის ფასი 136 საქონლის მანეთით, რაც დღევანდელ კურსზე უდრის 90.000.000 მანეთს.

აღნიშნულ ჯამს მოქ. დიასამიძე ასაბუთებს იმითი, რომ ვითომდა „ამ სახლში მშვიდობიანობის დროს იხარჯებოდა თვეში არა ნაკლები 9.000 ვედროსი“.—მაგრამ ინჟინერს სრულებით ავიწყდება ის ფაქტი, რომ წინეთ აღნიშნულ სახლში ცხოვრობდნენ ბირჟევიკები, სოლოლაკის ორაგულები და ნიკოლოზის ბიუროკრატები. მაშინ ყოველ ბინაში მოქმედობდა „ვანები“ და სამზარეულოები. ეხლა კი სულ სხვა მდგომარეობას და სხვა პირობებს ვხედავთ აქ. მაშ, რაშია საქმე, რად დაგვსაჯეს ეგრე უწყალოდ და ისიც „საბჭოთა სახლში“ საბჭოთა ხელისუფლების დროს?!

ვაცხადებთ, რომ ამდენი ფულის გადახდა ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია; წყალი კი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ზემო აღნიშნულ გარემოების გამო ვსთხოვთ პრეზიდიუმს 1) გასცეს დაუყოვნებლივ განკარგულება რათა წყალი მოგვცენ აუცილებლად და დაუგვიანებლად. 2) შეგვიმცირდეს წყლის გადასახადი ნახევრად მაინც, და 3) დადგმულ იქნას წყლის საზომი სახლში, რის მიხედვით (და არა მოქ. დიასამიძის თვით შეხედულებით) გაიწეროს ნამდვილად დახარჯულ წყლის ფასი.

ადგილობრივი მდგმური.

კულტ-უჯრედების კონფერენცია მელითონეთა კავშირში.

ამა წლის 20 მარტს მელითონეთა კავშირში შესდგა მელითონეთა კავშირის დაწესებულებათა კულტუჯრედების კონფერენცია ქარხკომების წარმომადგენლებთან ერთად.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ვედიორკო,—მდივნობდა ამხ. მკრტუმოვი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან და 2) მიმდინარე საკითხები.

ადგილებიდან მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივად კულტურული მუშაობა მოისუსტებს უსახსრობისა და დაწესებულებების კრიტიკულ მდგომარეობისა გამო, იმისდა მიუხედავად, რომ ადგილობრივად კულტ-უჯრედები ყოველგვარად სცდილობენ საქმის წარმართვას.

კონფერენცია აღნიშნავს რა კულტურულ მუშაობის გაძლიერების საჭიროებას, წინადადებას აძლევს ადგილ-კულტუჯრედებს მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება სახსრის აღმოსაჩენად, რათა მელითონეთა ფართე მასაში ამაღლდეს სკოლის, ბიბლიოთეკის და კლუბის საქმე, აგრეთვე პროფ-ტეხნიკური მუშაობა. მიმდინარე საკითხებში მოსმენილ იქნა: თეატრის ბილეთების განაწილება წარმოების დაწესებულებათა შორის, გაზეთების გამოწერა, პროფტეხნიკურ კურსების და მომავალ საღამო-კონცერტების მოწყობა კლუბებში

კონფერენციამ დაადგინა: წინადადება მიეცეს კულტურ. განყ. თეატრის ბილეთების განაწილების დროს წარმოებითი დაწესებულებები დაიყოს რამდენიმე ჯგუფათ, მუშათა რიცხვის მიხედვით, ბილეთები დაურიგდეთ რიგ-რიგათ.

რაც შეეხება გაზეთებს, გავრცელდეს მუშა-მოსამსახურეთა შორის გაზეთების გამოწერა.

პროფ ტეხნიკურ კურსების შესახებ, წინადადება მიეცეს კავშირის კულტ. განყ. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს კურსების დაარსებას და სუბსიდიის სახით გაუწიოს მას დახმარება.

ახლო მომავალში მოეწყოს დიდი საღამო-კონცერტი, რომელში მონაწილეობისათვის მოწვეულ იქნენ მელითონეთა კავშირის კულტურ. ძალები.

კონფერენცია დაიხურა საღ. 11 ს.

ინფ. კორ. ელიაშვილი.

მუშისთვის შეუფერებელი მდგომარეობა

ყოფილი საგანელიძის პურის საცხობი და საკანდიტრო ქარხანა დღეს ცხრა კაცისგან შემდგარ არტელს ეკუთვნის. აქ მუშაობს 9 მუშა. მათ შორის პროფ. კავშირის წევრად ითვლება მხოლოდ ერთი, დანარჩენები კი კავშირის გარეშე არიან და არც კი ფიქრობენ კავშირში ჩაწერაზე. შედეგები კი ამ გვარ პროფესიონალურ შეუგნებლობისა ძალიან სამწუხაროა. აღნიშნულ ცხრა კაცში ოთხმა კაცმა სრულებით არ იცის წერა კითხვა, დანარჩენ ხუთმა კი ძალიან სუსტად. არც პირველთ და არც მეორეთ, სამწუხაროდ, ცოდნის შეძენის და კლასობრივი შეგნების განვითარების სურვილი სრულებით არ ემჩნევათ: კლუბებში აქაური მუშები არამც თუ არ დადიან, არამედ თითქმის არ იციან არსებობენ თუ არა ასეთები და სხვა. მხოლოდ ერთი მათგანი (არა არტელის წევრი) პროფკავშირის წევრი სულით და გულით ეტანება თვითგანვითარებას. ამიტომაც არის, რომ იგი ყველაზე უფრო შეგნებულს და გათვითცნობიერებულ მუშის შთაბეჭდილებას სტოვებს. ის ფაქტი, რომ იგი არ ითვლება არტელში და პროფ-კავშირის წევრია, მოწმობს იმას, თუ რამდენად მაღლა მდგარა შეგნებით სხვებზე და არ გაბრიყვებულა არტელის წევრთა მოჩვენებითი უპირატესობით. (ვინაიდან იმათ უფრო მეტი გასამრჯელო ეძლევათ.) იგი სხვა მუშებისოდენ ხელფასს, მართალია, არ ღებულობს, მაგრამ მდგომარეობა მისი უფრო უხიფათოა, ვიდრე არტელის წევრთა. აუცილებლად საჭიროა სხვა მუშებმაც თავის თავს მეტი ყურადღება მიაქციონ, ნუ დაისახავენ მიზნად მხოლოდ ფულის მოგებას, თავის კულტურული ამაღლებისათვის გაიმეტონ მცირეოდენი დრო და საშვალება. იმეცადინონ საღამოს სკოლებში, იარონ ლექციებზე და თეატრებში, გამოიწერონ გაზეთები და დაეწაფონ წიგნების კითხვას დრო ამისათვის საკმაო აქვთ 4 საათიდან თავისუფალნი არიან. მიბაძონ თავის შეგნებულ ამხანაგს და ეს დრო თვითგანვითარებას მოანდომონ, შეიგნონ, რომ „სწავლა ხმალია ამ ცხოვრებასთან ბრძოლაში“.

ინფ. კორ. უცხო.

ეკონომიური ცხოვრება

ბირჟის კურსი.

(27 მარტი)

ოქროს 10 მ. — —	6,650	ათ. მ
გირ. სტერ. — —	4,175	„ „
დოლარი — — —	900	„ „
ოსმ. ქალ. ლირა —	710	„ „
საბჭ. ფულ. ნიშნები —	$15\frac{3}{8}$	„ „

განწყობილება ტფილისის ბაზარზე:

(27 მარტი)

საერთოდ ადგილი აქვს ფასების ზრდას. ხორბალზე და პურის პროდუქტებზე ფასი ცოტათი იზრდება. ნედლი მასალის ბაზარზე მდგომარეობა უცვლელია.

საქარის ბაზარზე ცვლილება არ მომხდარა.

ქიმიურ ნაწარმოების ბაზარზე მდგომარეობა გამოცოცხლებულია.

საერთოდ კი ტფილისის ბაზარზე მიწოდება აღემატება მოთხოვნილებას.

ოფიციალურ ბირჟაზე.

(27 მარტი)

დღეს მოხდა მორიგება რეზინოტრესტის სხვა და სხვა გვარ ნაწარმოებზე პრეისკურანტის ფასებით.

საქონლის ბაზრის ფასები:

(ბითუმად)

ყუბანის ხორბალი—430—440. ადგილობრივი—350. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—1000. შაქარი რაფინადი—6400. ფხვნილი შაქარი—3.600 კარაქი — 15000 — 15500. ნარმა არშინი—180. ჩითი არშ.—180—240.

შავი-ქვის ექსპორტი.

ამ ჟამად მოელიან შავი-ქვის გასატანად 8 გემს: „ცინიკონია“, „სირია“, „არქიმედი“, „უესტერმო“, „ქვინ ალექსანდრა“, „ტადლა“, „დერინჯე“ და „მოკრავენ“, რომლებმაც უნდა გაზიდონ 30,000 ტონა ანუ 2 მილ. ფუთამდე შავი-ქვა.

მოსკოვიდან ტფილისში აეროპლანით

(საუბარი სამოქალაქო ავიაციის ინსპექტორთან ამხ. კორეცკისთან)

26 მარტს საღამოს 5 საათზე ნავთლუღის აეროდრომზე დაეშვა მონოპლანი „იუნკერს“-ის ფირმისა R—C. A.

აპარატი შეჩერდა ხარკოვში, როსტოვსა და კავკავში. ფრენის დრო 13 საათს უდრის.

ორი უკანასკნელი ეტაპი გადაფრენილი იყო ძლიერ თოვლის დროს და რათა აპარატს არ დაეკარგოდა მარშრუტი ის იძულებული იყო ეფრინა 25—50 მეტრის სიმაღლეზე რკინის გზის ხაზის ზევით.

ასეთ მცირე სიმაღლეზე ფრენა შესაძლებელი იყო მხოლოთ სანდო მოტორის საშვალებით, რომელიც მართლაც მთელი მოგზაურობის განმავლობაში არც ერთ ჯერ-არ შეჩერებულა.

კავკავის ახლო ძლიერმა თოვლმა მთები დაფარა და აპარატი იძულებული იყო ჩამოშვებულიყო ყანაში.

მეორე დღესვე აპარატი ძლიერ ქარში ტფილისისაკენ გამოეშურა. მთებზე გადასაფრენათ აპარატმა 4.000 მეტრის სიმაღლეზე აიწია.

აპარატი მიფრინავდა ჯერ საქართველოს სამხედრო გზის ზევით, ყაზბეგის სიმაღლეზე ფრენის დროს აპარატს შეხვდა ღრუბელთა მთელი ზღვა, რომლებიც გრძელდებოდენ 40—50 ვერსტის მანძილზე. ავიატორები არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ტფილისი არ იყო დაფარული ღრუბლებით.

ორიენტიროვკის დაკარგვის შემდეგ ავიატორებმა გეზი აიღეს კომპასის მიხედვით და დიდ ფანჯარაში (ცალიერი ადგილი ღრუბლებში) ავიატორებმა დაინახეს გზატკეცილი.

ტფილისიდან 50 ვერსის მანძილზე შევამჩნიეთ, რომ არ გვყოფნიდა ბენზინი. საქმე იმაშია, რომ, ბენზინი წამოვიღეთ განსაზღვრული რაოდენობით და მთებზე დიდი სიმაღლით გადაფრენამ კი წაგვართვა ბევრი ბენზინი. მაშინ მოტორი გადავიყვანეთ მცირე გაზზე და ამასთან ქარმა, რომელიც აქნამდის უბერავდა გვერდით, დაუბერა უკნიდან, რამაც საშვალება მოგვცა მიგვეღწია აეროდრომამდის კავკავიდან ტფილისამდე გადმოფრენას მოუნდით 1 ს. 15 წუთს.

მოსკოვი - ტფილისის მიმართულებით განზრახულია სადგური დავაწესოთ ხარკოვში, როსტოვში, ნოვოროსიისკში და ბათომში. რეისები მოხდება ალბათ ორჯერ კვირაში. მონოპლანი, რომლითაც მოხდა გადაფრენა, იუნკერსის ფირმისაა.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **წინადადება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა მიწად-მოქმედების კომისარიატს, რათა 1922 წლის მეორე ნახევრიდან სატყეო და საძოვარ ადგილების შემოსავლიდან 20 პროც. გადარიცხულ იქნას ადგილობრივ აღმასკომების სასარგებლოდ.

— **ისტორიულ განძეულობის დაცვა.** განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების თანახმად სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიიღოს სათანადო ზომები ყველა ისტორიულ განძეულობის დასაცავათ. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად დაარსებული იქნა განსაკუთრებული კომიტეტი ამხ. დ. კანდელაკის, გეგეჭკორის და ვარძიელის შემადგენლობით.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **საქართველოს ექიმთა ყრილობა.** აპრილის 15 ტფილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს ექიმთა ყრილობა. ყრილობის მიზანია გაარჩიოს შემდეგი საკითხები: 1) ექიმთა უწყებები და მოვალეობა. 2) ექიმების ეთიკა. 3) ყველა უწყების ექიმთა გაერთიანება. 4) შესწავლა საექიმო შრომის მავნებლობისა, 5) ექიმთა ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის სტატისტიკა. 6) ხელფასი და უმუშევრობის საკითხი და სხვ.

ქალაქის აღმასკომში

— **კლუბის გადაცემა წითელ-არმიელებს.** ქალ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა გადაეცეს ერთი წლის ვადით წითელ-არმიელებს სამხედრო ცოდნათა კლუბისთვის ყოფ. „ბულენ ელექტრიკის“ კლუბი პირობით, თუ მოახდენენ მის სათანადო რემონტს.

— **მუსულმანების სკოლა.** ამავე პრეზიდიუმის დადგენილებით, მუსულმანების სკოლის ასავებ შენობის სასარგებლოთ რუსთაველის თეატრში 23 მარტს გამართული საღამო განთავისუფლებული იქნეს 5 პროც. გადასახადისაგან.

— **სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანა.** პრეზიდიუმმა დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საშუალებით, ჯანმრთელობის განყოფილების მთელი პერსონალის სახელმწიფო მომარაგებაზე გადაყვანის შესახებ.

— **სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის გაუქმება.** აღმ. პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის მოხსენება 1922 წლის სამოქალაქო გადასახადის მუშაობის შესახებ და დაადგინა: გაუქმებულ იქნას აღნიშნული კომისია, ხოლო მისი ფუნქციები გადაეცეს კომხაზვსის წევრს ამხ გიგო კიკნაძეს მთელი საქმეებით

— **მსახიობ ვ. აბაშიძის კომუნალურ ხარჯებისაგან განთავისუფლება.** ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე განთავისუფლებულ იქნას ბინის ქირის, წყლის და ელექტრონის გადასახადისაგან სრულიად.

განათლების კომისარიატში.

— **განმეორებითი გამოცდების შესახებ.** განათლების კომისარიატის დადგენილებით განმეორებითი გამოცდები მოწაფეებისათვის გაუქმებულია—ასეთი გამოცდები მიმდინარე სამოსწავლო წელს იქნება უკანასკნელად, ე. ი. მომავალში თუ მოწაფე გულმოდგინეთ არ იმეცადინებს და წლის ბოლოს არ დაამტკიცებს საკმაო ცოდნას—დატოვებული იქნება იმავე კლასში. ამ გაზაფხულზე დაშვებულია განმეორებითი გამოცდები, მხოლოდ ორ ან სამ საგანში, დანარჩენ შემთხვევაში პედაგოგიურ საბჭოს მიერ აღძრულ უნდა იქნეს შუამდგომლობა კომისარიატის წინაშე სათანადო ნებართვისათვის.

— **სწავლა განათლების საქმე სვანეთში.** განათლების კომისარიატმა დაადგინა 1) წინადადება მისცეს სოც. აღზრდის და პროფ. განათლების მთავარ სამმართველოებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლა-განათლების საქმეს ზემო სვანეთში. მომავალ სამოსწავლო წლიდან უზრუნველყონ მომზადებული მასწავლებლებით. 2) აღიძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ზემო-სვანეთის მასწავლებლებს დაენიშნოს ორკეცი სატარიფო განაკვეთი. 3) ეთხოვოს სასურსათო კომ. აღნიშნულ მასწავლებლებს მიეცეს მიუღებელი ულუფა. 4) ეთხოვოს შინ. საქ. კომ. განთავისუფლოს ზემოსვანეთის ადმინისტრაციამ მის მიერ დაკავებული სკოლების შენობები და 5) დაევალოს განათ. განყ. გამგეს სასწრაფოდ წარმოადგინოს სკოლების რემონტის დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

გამომცემლობა.

— ჟურნალი „მომავალი“ № 3 (10) გამოვიდა და იყიდება საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო „მომავალი“ № 3 (10) შემდეგი შინაარსით: 1. რ. კომპარტიის მე-12 ყრილობა. 2. ორი კომუნა—დაშნა. 3. პარიზის კომუნა—დ. გვაზავა. 4. პარიზის კომუნა და ახალგაზრდობა—შალვა შეწირული. 5. პარიზის კომუნის ძირითადი უბედურება—ი. სტეკლოვი. 6. ძველი რეჟიმის უკანასკნელი დღეები—ა. ბლოკი. 7. კარლ მარქსი. 8. წითელი ფლოტი 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე ვ. ზოფი. 9. საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის წარსული (1870 1905 წ.) ს. თალაკვაძე. 10. მსოფლიო წარმოშობის იდეა—დ. არონიძე. 11. ფილოსოფიური მიმართულებანი რუსულ მარქსიზმში—შ. დუდუჩავა. 12. ახალგაზრდათა ინტერნაციონალები (გაგრძელება) ქ. გორდელაძე. 13 ფიქრები ჩვენს მოძრაობაზე (დასასრული) ფ. გოგიშვილი. 14 ქალთა და ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია. 15. პარიზის კომუნარების სიმღერა (ლექსი) —ს.-ე—ლი. 16. პარიზის კომუნართა ხსოვნას (ლექსი) კალე ფეოდოსიშვილი 17. წითელ ახალგაზრდობას (ლექსი) კალე ფეოდოსიშვილი. 18. ეული (ლექსი)—სანდრო ეული. 19. პოემიდან „ახალგაზრდა საქართველო“—სანდრო ეული. 20. პარნასი—ა. მაშაშვილი,—21. კედელი (მოთხრობა—ალ. აბაშელაძე,—22. ფუტურიზმი—(გაგრძელება) მ. რადიანი,—23. „კომკავშირის აღდგომა“—სიუზანა,—24. რელიგია, როგორც ხალხური მეტაფიზიკა მარო შლიაპა,—25. სპორტი, 26. მეცნიერება და ტეხნიკა,—27. იუმორი,—28. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია,—29. ჩვენი ფოსტა. ჟურნალი შეიცავს 90 გვერდს, სუფთად არის გამოცემული და ღირს 80.000 მანეთი.

პროვინციაში

სენაკის მაზრა

პარიზის კომუნის 52 წლის თავის დღესასწაულის ჩატარება და საპროტესტო დემონსტრაცია მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ

პარიზის კომუნის 52 წლის თავის დღესასწაული მოეწყო სენაკის მაზრაში 18 მარტს: ყველა რაიონებში გაიმართა საჯარო კრებები დღესასწაულის აღსანიშნავად. მიტინგებზე საჯაროდ მიღებულ იქნა ფიცი, რომ, ყველა საშუალებებით დაიცავენ კომუნისტურ რევოლიუციას, რომელიც უკვე განხორციელებულია ქვეყნიერების ერთ მეექვსედზე; აგრეთვე გამოტანილ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერების გამო ევროპის კომუნისტების წინააღმდეგ.

ქალაქ სენაკში დანიშნული იყო აღლუმი დღის 12 საათზე, თავისუფლების მოედანზე, მაგრამ ავდრის გამო აღლუმი ვერ მოხერხდა, მიტინგი კი მოეწყო საღამოს 7 საათზე საბჭოთა თეატრში, კრებას დაესწრო ყველა მუშა-მოსამსახურე და მრავალი მოქალაქე, თეატრში, უადგილობისა გამო ბევრი ვერ მოხვდა და გარეთ დარჩა. მიტინგი გახსნა სამაზრო პარტკომის სახელით ამხ. ს. თურქიამ. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ახალგაზრდების კომკავშირის სამაზრო კომ. მდივანმა ამხ. ვაშაყმაძემ, რომელმაც გააშუქა ახალგაზრდობის როლი მომავალში და მოუწოდა კრებას ბრძოლისაკენ კომუნარების აღთქმის აღსასრულებლად, კომუნარების, რომლებმა შესწირეს თავი მუშათა კლასს და დაღვარეს სისხლი კომუნის განსახორციელებლად. მეორე სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. მაკარ ბიჭიას, რომლის გამოჩენა იწვევს ტაშის ცემას. ამხა-

ნაგი მკაფიოდ განმარტავს საფრანგეთის ბურჟუაზიის მდგომარეობას შესამოცდაათ წლებში: განუწყვეტელ ომმა შეარყია საფრანგეთის ბურჟუაზიის ძლიერება, ის უძლური გამოდგა პრუსიის წინაშე... ირგვლივ მტერი უქადდა საფრანგეთის ხალხს ფიზიკურად განადგურებას—მშრომელი მასსა შველას არსაიდან ხედავდა და მან შექმნა თავდაცვის კომიტეტი, რომელმაც თავის თავი გამოაცხადა კომუნად, ესე იგი მუშურ-გლეხურ მთავრობად. აი პირველი მერცხალი კომუნიზმისა, რომელიც გამოჩეკა საფრანგეთის პროლეტარიატმა 18 მარტს 1871 წ. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა კომუნის შეცდომები და ბურჟუაზიის გამოცდილება. მაგრამ პარიზის კომუნარების შეცდომებმა გამარჯვება მოუტანეს რუსეთის პროლეტარიატს! კომუნამ იარსება 72 დღე. მან ჩაუყარა საძირკველი მსოფლიო მასშტაბით კომუნიზმს, რომელიც 52 წლის შემდეგ დედამიწის ერთ მეექვსედზე არის განხორციელებული. კომუნისტებმა თავისი სისხლით შეღებეს პარიზის ქუჩები. მათ სისხლის ტბაში სცურავდა მტარვალი. ჩვენ საბჭოთა ფედერაციის მშრომელი მასსები ფიცსა ვსდებთ განვაგრძოთ კომუნისტების დაწყებული დიადი საქმე და თავს მსხვერპლად დავსდებთ სისხლით მორწყულ პარიზის ქუჩებზე კომუნის წითელ დროშის დასაცავად, მაშ დიდება კომუნარებს, გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციას! ორატორის სიტყვის გათავებას აუდიტორია მხურვალე ტაშით ხვდება.

მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საპროტესტო სიტყვას ამბობს ამხ. ვ. კობალია, რომელიც აღნიშნავს იმ სიმკაცრეს და სიმხეცეს, რომელსაც სჩადის ბურჟუაზია ევროპაში კომუნისტების წინააღმდეგ.

მოხსენების გამო კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი ორი რეზოლიუცია 1. ქალაქ სენაკის მრავალ რიცხოვანმა კრებამ, მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. მ. ბედიასი პარიზის კომუნის 52 წლის თავის დღესასწაულის გამო, მუხლს იდრეკს კომუნარების წინაშე, რომლებმა პირველად აღმართეს პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად წითელი დროშა და გამოუცხადეს ბურჟუაზიას სამოქალაქო ომი;

ჩვენ ფიცსა ვსდებთ კომუნარების წინაშე, მათი დაწყებული საქმე განვახორციელოთ იქ, სადაც ტირანის ხელით დაიღუპენ მუშები ათი ათასობით; ის წითელი დროშა, რომელიც აღმართა რუსეთის პროლეტარიატმა მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ კომუნისტურ პარტიის მეთაურობით, დღეს თუ ხვალ აღიმართება პარიზის ქუჩებზე,—მაშ საუკუნო ხსენება და დიდება პარიზის კომუნარებს! გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლიუციას, გაუმარჯოს კომუნიზმს!...

2. კრებამ, მოისმინა რა მან მოხსენება მსოფლიო ბურჟუაზიის უსასტიკესი ზომების მიღების შესახებ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც მომწყვდეულნი არიან ოთხკედელ შუა და განიცდიან ტერორს,—ზიზღს უცხადებს ბურჟუაზიას და—მეორე ინტერნაციონალს, რომელიც არის ლაქია მსოფლიო მტაცებლების,—ჩვენ ფიცსა ვსდებთ, რომ თავგამოდებით ვიბრძოლებთ ჩვენი ამხანაგების განსათავისუფლებლად; საბ. ფედ. პროლეტარიატი, რომელმაც გაანადგურა ბურჟუაზია და აღმართა კომუნისტური დროშა, დააჩქარებს ევროპის კაპიტალიზმის ჯურღმების დამსხვრევას. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

მიტინგი დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით სრულ ათ საათზე.

ვარსკვლავი.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოეს № ში.

მე ვიყავი წევრი ს. დ. მ. პარტიის მანამდე, სანამ იბრძოდა ის რუსეთის თვითმპყრობელობის დასამხობათ და ჩვენ მუშებს გვაზიდებდა როგორც სიტყვით, ისე ლიტერატურით სოციალიზმისათვის და როდესაც სიტყვა საქმედ უნდა ქცეულიყო, გამოეთიშა რუსეთის რევოლიუციონურ მუშათა პარტიას და შეუდგა აქ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ სახელმწიფოს შენებას. საქ. მენშევიკურმა მთავრობამ (ფედერალისტებსაც კი გადააჭარბა). ესეც არ იკმარა და, მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ გაზეთზე აწერიდენ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“-ო, მთელ ძალა უფლებას ანდომებდენ ნამდვილი რევოლიუციონერების—ბოლშევიკების წინააღმდეგ უსასტიკეს დაუნდობელ ბრძოლას, ბრძოლას რუსეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ოთხი წელიწადი სისხლიდან იცლებოდა, რომელსაც გვიხატავდენ მხეცებათ, ჯალათებათ, მძარცველებათ და სხვა. მუშებიც მიიბირა მენშევიკურმა მთავრობამ. როცა დადგა საქ მენ. მთავრობის უკანასკნელი დღეები და მოადგა ძლევამოსილი წითელი არმია თბილისის ბჭეებს, ხალხს არწმუნებდენ: სომხეთის და აზერბაიჯანის ბანდებიაო. ალბათ უნდოდათ შეეჩერებია რევოლიუცია, სანამ გაზიდავდენ საქარ. მუშა ხალხის სიმდიდრეს. გამოვედი რა ამ შეხედულებიდან საქართველოს საბჭოების დღიდან სრულიათ ჩამოვშორდი მენშევიკურ პარტიას მას აქეთ, დარწმუნებული იმაში, რომ ერთად ერთი კომუნისტური პარტიაა მუშათა ინტერესების გამომხატველი, სიტყვით და საქმით თანაუგრძნობდი საბჭოთა აღმშენებლობას. დღეს ჩემი ღრმა რწმენით შევდივარ საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახის წევრათ რომელიც ბრძოლით მიისწრაფის მსოფლიო ჩაგრულ ხალხის განთავისუფლებლად და სოციალიზმის დასამყარებლათ.

რკინის გზის საავად. მომუშავე

ნოე ი. თევზაძე.

1923 წ. 19 მარტი.

—

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში დამიბეჭდოთ შემდეგი განცხადება.

1918-დან 1921 წლამდე მე იმ რწმენისა ვიყავი, როგორც პოლიტიკურათ მოუმზადებელი, რომ მენშევიზმი, მენშევიკური ტაქტიკა, მათი მსოფლმხედველობა ერთათ ერთი გზა მეგონა, რომელიც მიიყვანდა მუშათა კლასს საბოლოვო გამარჯვებამდე. მაგრამ რა დავრწმუნდი სინამდვილეში ამ ორი წლის განმავლობაში, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც იბრძვის მუშათა კლასის, პროლეტარიატის გამარჯვებისათვის და მისი საბოლოვო მიზნისათვის, ეს არის სწორეთ კომუნისტური პარტია. ერთად ერთი პარტია მთელ მსოფლიოში რომელიც გმირულათ იცავს ყველა ჩაგრულ ხალხებს და საერთაშორისო პროლეტარიატს საერთაშორისო ბურჟუაზიისაგან და მათი დამქაშებისაგან, რომლებსაც სურთ თავიანთი ბატონობის აღდგენის გულისთვის სისხლში ჩაახჩონ საქართველოს პროლეტარიატი. ამას ვერ ეღირსებიან, ეს თვითონაც კარგათ იციან. მე, როგორც პროლეტარს საერთო არა მაქვს რა მენშევიკურ პარტიასთან, რადგან ის ეკუთვნის მემამულეებს და წვრილ მესაკუთრეებს.

თუ 1919-დგან 1921 დე ვირიცხებოდი იქ—ეს ჩემი პოლიტიკური მოუმზადებლობის ბრალი იყო. დღეს ღრმათ დარწმუნებული სრული შეგნებით ვაცხადებ რომ, ამიერიდან მზათა ვარ თავი შევწირო მუშათა საქმეს და პროლეტარიატის კეთილდღეობის მის საბოლოვო გამარჯვებას. **ტრამვაის ელექტრონის სადგურის მუშა მემანქანის თანაშემწე სტეფანე პეტრეს ძე გოზალიშვილი**

26 მარტი.

—

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის უახლოვესს ნომერში მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება.

1920 წელში მე ჩავეწერე ახალ. მარქსისტთა ორგანიზაციაში. არ მქონდა შეგნებული თუ რა საფრთხეს უმზადებდა ზემოხსენებული (მენშევიკური) პარტია მშრომელ გლეხობას. მაშინ, როდესაც დავრწმუნდი, რომ მენშევიკური პარტია არ აწარმოებდა საქმით ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოვედი პარტიიდან 1921 წელს

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ჩემმა პირადმა დაკვირვებამ სრულიად შეგნებულად მიმიყვანა იმ დასკვნამდი, რომ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს მუშის ინტერესის დაცვას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ დღიდან სრული თანაგრძნობით ვუყურებ არსებულ წესწყობილებას და გადავდივარ, მუშის ინტერესის დამცველი, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

ტარასი კოსტას ძე უჩანეიშვილი.

20 მარტი 1923 წ.

დ. სუჯუნა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. მატყლის მონოპოლიის გაუქმების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. ივნისის 7 თარიღითა და მე 8 №-რით გამოცემული დეკრეტით შემოღებული მონოპოლია მატყლის ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთ გატანისა და რეალიზაციის შესახებ—გაუქმებულ იქნეს.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა,

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 25.

ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 7

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წ. თებერვლის 24-ს თარიღითა 150 ნომრით გამოცემული დადგენილების თანახმად, დაწესებულია გადასახადი წყლის სარგებლობისათვის მიწების მოსარწყავად; ეს გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ხოლმე თვითეული წლის მაისის პირველამდე.

სასწრაფო სამელიორაციო მუშაობის სეზონის დაწყების გამო და არსებული სარწყავი ქსელების მოწესრიგებისა და განვითარებისათვის წინადადება გეძლევათ სასწრაფოთ შეუდგეთ ნარჩენების აკრეფას, როგორც გასული, ისე მიმდინარე წლისათვის იმ ანგარიშით, რომ მთელი გადასახადი აკრეფილ იქნეს არა უგვიანეს 1923 წლის მაისის 1 ს. მცხოვრებთა შორის სასურსათო რესურსების ნაკლებობის გამო, გადასახადის აკრეფა უნდა მოხდეს ფულად სიმინდისა და ხორბლის ფასების ანგარიშით იმ მომენტში, როცა შეტანილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული წყლის გადასახადი.

ზემოაღნიშნული 150 ნომრის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, გადასახადი სარწყავი წყალისათვის შეტანილ უნდა ყოფილიყო ხოლმე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში, ხოლო რადგანაც აღნიშნულ უწყებათა ფუნქციები წყალის მეურნეობის სფეროში გაერთიანებულ იქნა და გადაეცა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს,—ამის გამო წინადადება გეძლევათ ზემოხსენებული გადასახადი სარწყავი წყალის სარგებლობისათვის შეტანილ იქნეს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში. ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო მისცემს თავის ადგილობრივ ორგანოებს ინსტრუქციას გადასახადის შესახებ წყალის სარგებლობისათვის და აგრეთვე, ინსტრუქციას წყალის მოსარგებლეთა მიერ შესრულებულ სამელიორაციო სამუშაოთა ღირებულების ანგარიშში ჩასათვლელად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 20.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს ა/წ. 28 მარტს საღამოს 5 საათზე წითელი არმიის სახელობის ავლაბრის კლუბის შენობაში შესდგება მე-3-ე რაიონის ყველა წევრების და კანდიდატების საერთო კრება, სამხედრო კომუნისტებთან და ახალგაზრდობის კომკავშირთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-2-ე ყრილობა.
2. ნავთლუღის რაიონის ნაწილების მე-2-ე საგარნიზონო პარტკონფერენცია.
3. მიმდინარე საქმეები.

მდივანი—ვართაპეტიანი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3-ე რაიონის ყველა წევრებს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3-ე რაიკომი იტყობინება, რომ ა/წ 22 მარტიდან რაიკომთან დაიწყო მოქმედება საექიმო კომისიამ 3-ე რაიონის პარტიულ წევრთა შესამოწმებლად მათი კატეგორიებათ დაყოფის მიზნით. შემოწმება სწარმოებს რაიკომის ბინაზე. იაჩეიკები უნდა გამოცხადდენ შემდეგი სიის მიხედვით.

4.—სამშაბათს 27 მარტს—3-ე რაიონის ყველა წევრები რომელთაც ვერ მოასწრეს კომისიაში გავლა წინა დღეების განმავლობაში. კომისიის სხდომები იმართება, 25 მარტს დილის 10 საათიდან, ხოლო დანარჩენ დღეებში საღამოს 5 საათიდან.

მდივანი ვართაპეტიანი

მარქსისტულ წრეების მეცადინეობის ნუსხა.

27 მარტიდან 1 აპრილამდე:

— სამშაბათს—27 მარტს და შაბათს 31 მარტს საღამოს 5—7 საათამდე განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების სამმართველოს წრე—ხელმძღვან. გოლკინი.

— ოთხშაბათს 28 მარტს და შაბათს 31 მარტს საღ. 6—8 საათამდე მბეჭდავთა კავშ. წრე—ხელმძღვან. მედვედევი.

— ხუთშაბათს 29 მარტს საღამოს 6—8 საათ. განათლების მუშაკთა სახლის წრე—ხელმძღვან. სუროვენკოვი

საქ. კომპარტიის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილება

— ოთხშაბათს, 28 მარტს, საღამოს 5 საათზე ტფილისის ალექსანდროვის დარბაზში შესდგება სადელეგატო კრება მე-4 რაიონის კომუჯრედების მდივნებთან ერთად ყველა არჩეულ დელეგატებს წინადადება ეძლევათ მანდატები მიიღონ რაიკომში.

ყველა დელეგატების და უჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

მე-4 რაიკომის მდივნის მაგ.
ხაცკევიჩი.

— საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის წევრებს—პოლონელებს და პოლონურ ენის მცოდნეებს, ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ რეგისტრაციაზე ტფილისის კომიტეტის სააღრიცხვო ქვეგანყოფილებაში.

რეგისტრაცია წარმოებულ იქნება 27 მარტიდან 2 აპრილამდე, დილის 9 საათიდან—დღის 3 საათამდე

ახალგ. კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მდივანი ადამიანი.

რ. კ. კ ცეკას რწმუნებული ტფილისში სამუშაოთ გუსტირ-სტუპნიცკი.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში,

ოთხშაბათს 28 მარტს 1) გაიმართება ჩურსინის ლექცია საქართველოს შედარებითი ეტნოლოგიის შესახებ. 2) საღამოს ხუთ საათზე ტექნიკურ თანამშრომლებისათვის თათარიშვილის ლექცია ქართულ ენაზე—„მსოფლიოს წარმოშობა“ საღამოს 7 საათზე ისტორიულ სექციაში მუშათა კომისიის მოხსენება შრომის სკოლების მეხუთე ჯგუფისათვის.

ხუთშაბათს, 29 მარტს, საღამოს 7 საათზე ბუნებისმეტყველების და გეოგრაფიის სექციაში—ალდანოვის მოხსენება თემაზე: „ფიზიკური [illegible] პროპოდევტიკა“.

პარასკევს, 30 მარტს, საღამოს 7 საათზე, რუსული ენის სექციაში—1) ბერის მოხსენება თემაზე: „მეტაფორა და მეტონიმიის თანამედროვე გაგება, 2) ვოლკოვის მოხსენება თემაზე: „პრაქტიკული მუშაობა სკოლაში ბავშების წარმოდგენის გამოსაკვლევად“.

ქართული ენის სექციაში, ნადირაძის მოხსენება- „შრომის აღზრდის საკითხი პედაგოგიკის ისტორიაში“.

— იმავე დღეს საღამოს ხუთ საათზე ტექნიკურ თანამშრომლების თვის პროცენკოს ლექცია რუსულ ენაზე: „მსოფლიოს წარმოშობის შესახებ“.

— შაბათს 31 მარტს პედოლოგიურ სექციაში, საღამოს 7 საათზე კოზლოვსკაიას მოხსენება თემაზე—აღზრდის პრაქტიკა დღეის გაგებით.

— ხუთშაბათს 29 მარტს საღამოს 7 საათზე სამხატვრო სექციაში საუბარი: 1) სურათების განხილვა, 2) ხელოვნების შესახებ ლიტერატურულ ზე კამათი, საილუსტრაციო ხატვის საზღვრების შესახებ

— საღამოს შვიდ საათზე გალობის სექციაში საუბარი: 1) მოწაფეებზე, რომელნიც არ გალობენ. 2) საჩვენებელი საღამოს მოწყობა

— ოთხშაბათს 4 აპრილს საღამოს 7 საათზე პედოლოგიურ სექციაში—პროფ. უზნაძის მოხსენება თემაზე: ბავშის გამოკვლევის მეთოდები.

განცხადებები

გულდათუთქული მშობლები გერასიმე პეტრეს ძე და ირინე ბიქაშვილი, ძმები სერიოჟა და სიმონი, რძალი პაშა სერაფიონის ასული ტორონჯაძეები, მამიდა ეკატერინა პეტრეს ასული გოგუასა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 23 მარტს ბათომის საავათმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ბარბალე (ბაბილინა) გერასიმეს ასული

სანიკიძისა

რომლის დასაფლავება მოხდება 29 მარტს ქალაქ სამტრედიაში ივანე ნათლისმცემლის სასაფლაოზე. გამოსვენება ნინოშვილის ქუჩიდან № 6. 447 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კალისტრატე არსენის ძე სანიკიძე. და შვილი ნინა, მამამთილი არსენ ზურაბისძე და დედამთილი ბარბარე ნიკოლოზის ასული სანიკიძეები, მულები ანეტა დიასამიძისა და პოლისტინა [illegible] აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 23 მარტს ბათომის საავათმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ბარბალე (ბაბილინა) გერასიმეს ასული

სანიკიძისა

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 29 მარტს ქალაქ სამტრედიაში ივანე ნათლისმცემლის სასაფლაოზე გამოსვენება ნინოშვილის ქუჩიდან № 6. 447 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ევგენი და კონსტანტინე, იოსების-ძენი, იულია სპირიდონის-ძე მეუღლით, გიორგი სპირიდონის ძე, და ერასტი სპირიდონის-ძე მეუღლით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებთ, რომ 26 ამა მარტს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი ძმა და მამა

ექიმი სპირდონ იოსები -ძე

ვაწაძე.

პანაშვიდი ოთხშაბათს 28 მარტს 6 საათზე ბინაზე გამოსვენება ხუთშაბათს 29 მარტს 3 ნახ. საათზე ბინიდან პეტროგრადის ქ. № 9 დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზედ. 445 2—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამ ალექსანდრეს ასული, შვილები: იოსებ, ნინა, თამარი, გიორგი, ერასტი და ნიკოლოზი და და მარინა იოსების ასული აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 26 ამა მარტს გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მეუღლე პირველისა. მამა და უკანასკნელის ძმა

ექიმი სპირდონ იოსების ძე

ვაწაძე.

პანაშვიდი ოთხშაბათს 28 მარტს 6 საათზე ბინაზე, გამოსვენება ხუთშაბათს 29 მარტს 3 ნახ. საათზე ბინიდან პეტროგრადის ქუჩა № 9, დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე. 445—2—1.

ღრმად დამწუხრებული მშობლები მამა ალექსანდრე გრიგოლის ძე გომურაშვილი და დედა აგრაფინა სპირიდონის ასული ენუქიძე—გომურაშვილისა აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს, 29 მარტს, დილის 12 საათზე, დანიშნულია პატარა

ცაცა ქეთუშა

გომურაშვილის

ორმოცი დღის გარდაცვალების შემდეგ პანაშვიდი პეტრე-პავლეს ეკლესიაში (ნავთლუღში)

441—1—1

რუსთაველის თეატრი
კრ. 280—2—1

დღეს, 29 მარტს, ნიკო გოცირიძის ბენეფისი
მზის დაბნელება საქართველოში
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო ოპერა
კრ. 279—1—1

დღეს, 28 მარტს,
თავადი—იგორი
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

იყიდება კარგათ მორთული
სახლი
ბაღით
ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2.
401—10—4

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (238—25—20)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შემხაპუნება 914 რენტგენის სინათლის ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 28. (264—25—17)

ქალ. თბილისის მე-2-ე უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში, სასამართლოს ქ. № 32, ვიქტორ სტეფანეს ძე ლობოვს, როგორც მოპასუხეს მის ცოლთან—სოფიო ივანეს ძე ლობოვას მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნების არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

442—1—1

ქ. თბილისის მე-2-ე უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში, სასამართლოს ქ. № 32, ანნა იოსების ასულ ხანგანეზოვას, პასუხის ცემისათვის საქმეზე: „იოსებ გრიგოროვის თხოვნით, რათა მას მიეცეს უფლება, რომ მიიღოს ქ. თბილისის უფროს ნოტარისაგან სიგელი გაყიდულ ხანგანეზოვის მამულისა“. და აცხადებს თუ მან, ხანგანეზოვა, ორი თვის განმავლობაში არ გამოცხადდება ამ განცხადების დაბეჭდილობისაგან, მაშინ იქნება დადგენილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გამოტანილი შესაფერი დადგენილება.

443—1—1

ქალ. თბილისის მე-6-ე უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში მემკვიდრეებს გარდაცვალებულის კანატ ხანი ბაიკაევის დანაშთ ქონებაზედ ორი თვის განმავლობაში დღიდან გამოქვეყნებისათავის უფლებების განსაცხადებლათ.

446—1—1

დავკარგე მე-3-ე კომისარიატის მიერ ნიკოლოზ ქართველიშვილის სახელზე გაცემული პასპორტი ჩაითვალოს გაუქმებულად. 440—1—1

დავკარგე ქ. ტფილისის სამხედრ-სანიტარულ განყოფილების მიერ მათე პეტრეს ძე ბაბანინის სახელზე გაცემული სააღრიცხო ბარათი № 226. ჩაითვალოს გაუქმებულად. 439—1—1

დავკარგე მე 7-ე კომისარიატის მიერ ბახში არუთიუნოვის სახელზე გაცემული სარეგისტრაციო ბარათი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 444—2—1

დავკარგე განათლების მუშათა კავშირის წიგნაკი № 3170. ჩაითვალოს გაუქმებულად. ელისაბედ გუსაძე. 438—1—1

დაიკარგა რუსთაველის თეატრის ბილეთი მიცემული ტფილისის კომიტეტზე განათლების კომისარიატის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად. საქმეთა მმართველი ამო.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ თანახმად ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ მიმდინარე წლის 9 მარტს,

დაწესებულია ერთდროული საერთო სამოქალაქო გადასახადი

რათა აღნიშნული გადასახადის საშუალებით გაძლიერდეს რესპუბლიკათა საშუალებანი საერთო სახელმწიფო საჭიროებათა და კერძოდ სწავლა-განათლების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს გადასახადი დაწესებულია შემდეგ ნაირად:

1. **სამოქალაქო გადასახადი გადახდება ყველა შრომის უნარ მქონე მოქალაქეთ, რომლებთაც მიმდინარე წლის 1 მარტისათვის შესრულებული ექნებათ 18—60 წლამდე.**

2. **გადასახადიდან განთავისუფლდებიან:** ა) მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს არა უმაღლეს მე-9 კატეგორიისა 17 ხარისხოვან ცხრილის მიხედვით. ბ) სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომლებიც იღებენ ჯამაგირს სამხედრო ტარიფის მიხედვით [illegible]. გ) მილიციის თანამშრომელნი, რომლებიც ასრულებენ შეიარაღებულ დამცველთა სამსახურს, დ) მოსწავლენი და მსმენელნი სახელმწიფო სასწავლებლებისა და კურსებისა თუ ისინი სწავლასთან ერთად არ მსახურებენ, არ მოხელეობენ, არ მრეწველობენ და საზოგადოდ არ ეწევიან რაიმე ნიადაგ მუშაობას.

შენიშვნა: ამ პუნქტში აღნიშნული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ იმ მოსწავლეებზე და მსმენელებზე, რომლებიც მეცადინეობენ იმ სასწავლებლებში ან კურსებზე, საცა სწავლა გრძელდება სამ თვეზე ზედმეტ ხანს, მოსწავლენი და მსმენელნი იმ სასწავლებლებისა, ან კურსებისა, საცა სწავლა გრძელდება სამ თვეს და ან კიდევ ნაკლებ ხანს, აგრეთვე მოსწავლენი და მსმენელნი კერძო სასწავლებლისა ან კურსებისა, მიუხედავად სწავლის კურსის ვადისა, იხდიან გადასახადს საერთო წესით; ე) სრულიად შრომას უნარ მოკლებულნი ინვალიდები, რომლებთაც ინახავს სოციალური დახმარების დაწესებულება, ურთიერთ დამზღვევი ორგანოები, კერძო პირნი და დაწესებულებანი. ვ) ქალები, რომლებთაც ყავთ ერთი ან მეტი ბავშვები 14 წლამდის, თუ ისინი სხვის დაუხმარებლად ეწევიან ოჯახის მოვლა-პატრონობას: ზ) დიასახლისნი, რომლებიც ემსახურებიან თავიანთ ოჯახს 5 სულის ან მეტი შემადგენლობით, ამ რიცხვში თვით დიასახლისის თანჩართვითაც.

შენიშვნა: ამ პუნქტის მიხედვით განთავისუფლებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ დიასახლისნი თვით ემსახურებოდენ თავიანთ ოჯახს დაქირავებულ მუშა ხელის გარეშე, თ) შრომის ბირჟის რეგისტრაციაში გატარებულნი უმუშევარნი, რომლებთაც არ მოეპოვებათ სახსარი ცხოვრებისათვის. ი) მიწის მუშა გლეხი, რომელსაც არა აქვს სხვა შემოსავლის წყარო და მასთან არ ყავს მუშა საქონელიც. კ) ამ მუხლში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრნი, რომლებთაც არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული გადასახადისაგან განსათავისუფლებელი პირობები მისაღებია მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ადგილი 1923 წლის 1 მარტისათვის.

3. **გადასახადის განაკვეთები** დაწესებულია ჯგუფებად (ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით) შემდეგ ნაირად: ა) იმ მუშა მოსამსახურეთათვის, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს პერსონალურად ცხრილის გარეშე და აგრეთვე ლიტერატორთათვის და მხატვართათვის—800.000 მან., ბ) პროფესიონალურ კავშირის წევრთა მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 17 ხარისხოვან ცხრილის მიხედვით—100.000 მან. გ) ხელოსანთა, შინამრეწველთა და სხვა წვრილ მრეწველთათვის, რომლებთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშა ხელი—500.000 მან. დ) სოფლის მეურნე გლეხთათვის და სხვა პირებისათვის, რომლებიც თვით ეწევიან მიწის მუშაობას და სასოფლო მრეწველობას—200.000 მან. ე) თავისუფალ პროფესიის მოქალაქეთათვის (ექიმები, კბილის ექიმები, დამცველთა კოლეგიის წევრნი და აგრეთვე გამგეობის წევრნი, სახელმწიფო საწარმოოთა დირექტორები, ტეხნიკოსები, ინჟინერები და სხვ.)—10.000.000 მან.

თანახმად ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილებისა მიმდინარე წლის 14 მარტიდან (იხილე გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 17 მარტიდან № 60). სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონე და თანამფლობელთათვის (ყოველ თანამფლობელისათვის ცალკე) გადასახადის განაკვეთი დაწესებულია მათ სავაჭრო-სამრეწველოსაგან მიღებულ მოგების მიხედვით, რომელიც აღრიცხულია საგადასახადო საკრებულოს მიერ უკანასკნელად სარეწავი გადასახადით დაბეგვრის დროს, შემდეგ ნაირად: 1) იმ პირთათვის, რომლების მოგებაც აღრიცხულია არა უმეტეს 10.000.000 მანეთისა, გადასახადი—1.500.000 მანეთი; 2) იმ პირთათვის, რომლების მოგებაც აღრიცხულია 10—20 მილიონ მანეთამდე—გადასახადი—3.000.000 მანეთი; 3) იმ პირთათვის, რომლების მოგებაც აღრიცხულია 20—50 მილიონ მანეთამდე, გადასახადი—5.000.000 მანეთი და 4) იმ პირთათვის, რომლების მოგებაც აღრიცხულია 50 მილიონ მანეთზე ზედმეტი თანხით, გადასახადი—7.000.000 მანეთი. ახლად გახსნილ სავაჭრო-სამრეწველოს მეპატრონეთათვის და თანამფლობელთათვის გადასახადს აწესებს რაიონის სამოქალაქო გადასახადის კომისია იმის და მიხედვით, თუ როგორ არიან დაბეგვრილნი ამგვარივე სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. ზ) იმ პირთათვის, რომლებიც ეწევიან კომისიონერობას, ბირჟის და საკრედიტო ოპერაციებს კანტორის უქონლად, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც არ ეწევიან არავითარ განსაზღვრულ ხელობას და მასთან არ არიან გატარებულნი რეგისტრაციაში შრომის ბირჟაზე—10.000.000 მანეთი. სხვა დანარჩენ მოქალაქეთათვის 200.000 მან.

4. ის გადამხდელები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობით ეკუთვნიან ამ ცხრილის სხვა და სხვა ჯგუფებს, დაიბეგვრებიან უმაღლესი ჯგუფის მიხედვით.

5. ოჯახის წევრნი, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახის უფროსთან ერთად, გადაიხდიან ოჯახის უფროსზე შეწერილ გადასახადის ნახევარს თუ თვითონ მათ არ ეკუთვნით ზედმეტი გადასახადი.

6. **გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი ქალაქებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა, ხოლო სოფლებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა.**

7. ვადაზედ შეუტანელი გადასახადი გადაირიცხება ნარჩენში და აკრეფილი იქნება საერთო წესით; ამასთან დასაშვებია დაუყოვნებლივ იძულებითი გადახდევინების საშუალებათა მიღება, **ამ გადასახადს პირველ თვეში დაწესებულ ვადის გასვლის შემდეგ დაერიცხება ჯარიმა 100 პროცენტი, ხოლო მეორე თვეში კი—200 პროცენტი.**

8. გადასახადის თავის დროზე შეუტანლობისათვის პასუხისგება ეკისრება თვით გადამხდელს და მოიხსნება მათ მხოლოდ კვიტანციის წარმოდგენის შემდეგ გადასახადის სრულად შეტანაში, გარდა იმ პირთ, რომლებიც აღნუსხულია ამ განცხადების მე 10 მუხლის შენიშვნაში.

9. სამოქალაქო გადასახადის გატარებას განაგებს ა. კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის პირდაპირ გადასახადთა განყოფილება, ხოლო მის ასრულებას რაიონის საგადასახადო განყოფილებათა გამგენი.

10. **გადამხდელთა სიის შედგენა:** ა) იმ მუშა-მოსამსახურეთა სიებს, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებებში და საწარმოოებში, აგრეთვე კერძო ქარხნებში და ფაბრიკებში, საცა არიან საქარხნო საფაბრიკო კომიტეტები, ადგენს დაწესებულების ადმინისტრაცია ორ ეგზემპლიარად და უგზავნის იმ რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს, რომლის რაიონშიც არის მოთავსებული თვით დაწესებულება.

შენიშვნა: ყოველივე პასუხისგება ამ მუხლში აღნიშნულ გადამხდელებისაგან გადასახადის თავის დროზე შეუტანლობისათვის ეკისრება დაწესებულების ადმინისტრაციას. ბ) ქალაქებში და ქალაქის ადგილებში სიების შედგენა ევალება სახლის მეპატრონეთ, გამგეებს ან მათ მოადგილეთ. **თავის დროზე სიების წარუდგენლობისათვის, აღნიშნულნი პირნი დაჯარიმებულ იქნებიან არა უმეტეს 25.000.000 მანეთის ა. კ. ფულის ნიშნებით.**

შენიშვნა: მეპატრონენი იმ სახლებისა, რომლებიც დანიშნულია გადასახადისაგან გასანთავისუფლებელ პირების საცხოვრებლად, (წითელ არმიელთა ყაზარმები, მოსწავლენი სახელმწიფო სასწავლებლებში) სიებს აღარ ადგენენ: გ) სოფლებში სიების შედგენა ევალებათ თემთა აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებიც ამ შემთხვევაში სარგებლობენ საოჯახო, სასურსათო გადასახადის, სანიტარულ გადასახადის და სხვა ამ გვარი სიებით.

11. გადამხდელთა სიებში უნდა იქნეს აღნიშნული შემდეგი ცნობები: ა) გვარი, სახელი და მამის სახელი გადამხდელისა. ბ) საცხოვრებელი ადგილი; გ) წლოვანება; დ) ხელობის მიმდევრობა. დაწესებულებათა და საწარმოოთა სიებში მუშა-მოსამსახურეთა შესახებ უნდა აღინიშნოს, რომელ კატეგორიით იღებს გადამხდელი ჯამაგირს 17 ხარისხოვან ცხრილის მიხედვით, ან რაოდენობა ჯამაგირისა იმ მოხელეებისა, რომლებიც იღებენ ასეთს ცხრილის გარეშე

12. **ქალაქებში გადამხდელთა სია უნდა წარედგინოს სათანადო რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა, ხოლო სოფლებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა.**

13. **ბლანკების და სიების ფორმების მისაღებად, აგრეთვე დაწვრილებითი განმარტებისათვის გადასახადის აკრეფის და მისი ხაზინაში შეტანის შესახებ, ყველა დაწესებულებებმა, სახლის მეპატრონეებმა და თვით გადამხდელებმა უნდა მიმართონ სათანადო რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს. საჭირო ბლანკებს, ფორმებს და წესდებას, დაწესებულებანი მიიღებენ აგრეთვე ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარის საქართველოში რწმუნებულის სამართველოს პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში.**

ა. კ. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

რკ. 278—1—1

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

ტირაჟი 10,000 ც. ს. დ. ე.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა [illegible] ქ. № 1